

დროშა

მეცხე
№ 5 1987





5 მაისი
გაჭაღვითი
სიტყვის
ღღაა

75 წლის წინათ
 1912 წელს
 პეტერბურგში
 გაამოვიდა გაზეთი „პრავდის“
 პირველი ნომერი
 გაზეთი დააარსა
 ვ. ი. ლენინმა



ჟურნალისტთა
ფორუმი





გაუმაჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

№ 5 (605), მაისი, 1987

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

ნომერშია:

- ჯეგალ მხრივშილი. ოქროს მარცვლები (ნარკვევი).
- ნოდარ ტაბიძე. მე, ნომგბერი და კატროგრაფი.
- გივი ბაყაძე. გენერალი ალფანიძე (ნარკვევი).
- არნოლდ გეგეჭკორი. ბასროლა ტყეში.
- მერი ჭილიძე. მოღვაწე.
- ნათელა ურუშაძე. ლირიკის ლამპარი.
- ოტია იოსელიანი. მართლმსაჯულება (მოთხრობა).
- გივი გამრეკელი. ისტორია მეორედა ანუ ფიშერს მორფი გაუკეთეს? ი. ტურგენევი. ტუტუცი.
- პანორამა.
- გერონტი ჭიკოძე. ქართული ხუროთმოძღვრებისათვის.
- წაუკითხეთ კატარეგს. ჭიანჭველები. კროსკორდი.



საპირველმაისო დემონსტრაცია რესპუბლიკის მოედანზე.

საქართველოს კა ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1987 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ კინელაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ხახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ ვეხვაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ღურშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ღინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ბაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უნა ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ ჟურნალისტთა VII ყრილობის მიერ არჩეულმა ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველმა პლენუმმა შექმნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი ოცდაშვიდი კაცის შემადგენლობით, ხოლო პრეზიდიუმის წევრთაგან სამდივნო.

საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია — ნ. გ. ჩერქეიშვილი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი. თავმჯდომარის მოადგილეებად: ა. შ. იოსელიანი — საქინფორმის დირექტორი, ა. რ. სანებლიძე — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს
გარდასმების
ქრონიკული
გამომცემლობა



ნარკვევი

ოქროს ვარსკვლავი

ჯემალ მესრიშვილი

ქალოსთან, ნამკალის ყურში, ძიძოსა და ქინძარას გადათელილ ბუჩქებშია ერთი ტანსაცვითიანი შუახნის კაცი ჩაცუცქებული და ბალახებში ხელებს აფათურებს. მას სათიბიდან კალოსკენ მომავალი სამი ფიწლიანი მოსწავლე წაადგა თავს.

— მანდ რას ეძებ, ამირან ძია? — ჰკითხა მათში ყველაზე უფროსმა, კამეტიოდე წლის ქერაქოჩრიანმა ბიჭმა.

— ოქროს მარცვლებს, — თავაულებლად უპასუხა ჩაცუცქულმა კაცმა.

ბიჭებმა ნათქვამი დაიგერეს, ფიწლები გზაზე დაყარეს და თვითონაც მიუტუცქდნენ სახეგაშავებულ კაცს.

— აბა, გვაჩვენე! ხორბლის მარცვლებით სავსე, ოფლიანი მუჭა ამირანმა ფრთხილად გაშალა.

— აი! — ეგ ხომ ხორბალია! — ერთხმად წამოიძახეს ნირწამხლარმა ყმაწვილებმა.

— მერედა, რით ჩამოუვარდება ოქროს მარცვლებს, — აბა, კარგად დააკვირდი! — ამირანმა სამთავეს სათითოდ ჩახედა განცვიფრებულ თვალებში და ხმაშეცვლით განაგრძო: — ეტყობა, შოფერმა

აფრაკივით შემოუხვია და სავსე ძარადან გადმოეფანტა. აბა, ავმარცვლოთ!

ბიჭებმა უსიტყვოდ, მაგრამ უხალისოდ დაიწყეს ბალახებში ჩაფანტული მარცვლების აკრეფა. დალილ-დალექებულებს არ ებიტნავებოდათ მზის გულზე ბალახებსა და ფაფუკ მტვერში ხელების ფათური, მაგრამ ვერც ურჩობას ბედავდნენ.

მიწაში ერთი მარცვალიც არ დარჩენიათ — ოთხივეს რჯულზე გაეძეკა ჯიბეები. კალოზე რომ მივიდნენ, ბიჭები პირდაპირ ხევისაკენ გაემართნენ, მაგრამ ამირანმა შეაჩერა და ფანატურიდან ცარიელი ვედრო გამოიტანა.

— აბა, ერთი გავიგოთ, რამდენი გვეკარგებოდა!

ყველა რიგრიგობით დაიხარა ვედროზე და ჯიბეები გადმოიბრუნა. აწონეს.

— აბა, შვიდი კილო და სამასი გრამი! — დაბეჭდა ამირანმა.

— მერე, შვიდი კილო რა ბედენაა, როცა კალოზე ათასობით ტონა აქუჩია! — წამოიძახა უცებ ჩოღერაკბილებიანმა ბიჭუნამ.

ამირანმა იუცხოვა ბიჭის ცეტურად წამოროშილი სიტყვები.

— შეილო, თუ ცოტას არ ვავეფრთხილებით, ბევრი საიდანღა დაგვიგროვდება—ყაირათიანობა და ბარაქა ხომ ღვიძლი ძმები არიან! აი, შენ იძახი, შვიდი კილო ვითომ არაფერი, მაგრამ ზოგჯერ ერთ მუჭა ხორბალსაც ოქროს ფასი დასდებიან! მომისმინეთ: ორმოცდაათში, ომი რომ თავდებოდა, თქვენი კბილა ვიქნებოდი. უჭირდა ქვეყანას; უჭირდა ჩვენს სოფელსაც. ბებრმა გუთნისდებებმა მინდვრები კი რის ვაინარობით დახნეს, მაგრამ თესვის ალომ რომ მოატანა, რა ვაინარობა — თურმე კოლმეურნეობას იმდენი თესლი აღარ ჰქონია, რომ ნახევარი ფართობი მაინც დაეთესა. დადარდიანდა სოფელი. მერე ოქროს სამკაულების მოგროვება დაიწყეს — იქნება ვინმემ თესლზე გადაგვიცვალოსო, მაგრამ ვის რაში ჭირდებოდა შენი ოქრო-ვერცხლი, თესვა კარს იყო მომდგარი. ბოლოს, ღმერთმა უშველოთ, ივრევ ომში დალუპულთა პატრონებმა იხსნეს სოფელი.

— რანაირად? — იკითხეს ბიჭებმა.


— რანაირად და შინმოუსვლელთა სულის მოსახსენებელი წანდილისთვის გადანა-

ხული თითო-თითო ტობრაკა ხორბალი შეაგროვეს და ეგენატბავარისა და საჯერნეს საკვეთები იმ ხორბლით დაითესა...

— ვინ არის ეს კაცი, სულგანაბული ბიჭები მონუსხულებით რომ შესცქერიან? ეს სიონალის რაიონში სახელგანთქმული ადამიანი, მაღაროს კოლმეურნეობის შემინდვრეობის უგანრიგო ბრიგადის ბრიგადირი ამირან ყანდაშვილი განლაგეთ.

* * *

თექვსმეტოდე წლის ძლივს იქნებოდა ამირანი, პირველად რომ მიუჯდა ტრაქტორის საჭეს და მას აქეთ აღარც უღალატია ხნულისთვის. ეს 1947 წელს იყო. სანამ ფრთებს გაიმარებდა, ხუთი წელი ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირი ივანე ბაილოშვილთან მუშაობდა თანაშემწედ. მან თავისი შეგირდიც შემინდვრემექანიზატორის უშეღავათო დარჯაკში გამოატარა. როცა ბაილოშვილი გარდაიცვალა, დამგლოვარდა ამირანი, მაგრამ მეტი ჩარა არ იყო: სათავეში ჩაუდგა ბრიგადას, მოწიწებით დაიდგა ქედზე მასწავლებლის



ნაკურთხე უღელი და დღემდე
ნამუსიანად ეწევა...

დღესდღეობით სიღნაღის
რაიონში მარცვლეულის მოყვანას
ემსახურება მემინდვრეო-
ბის 22 უგანრიგო ბრიგადა.
ორი მათგანი მღაროს კოლ-
მეურნეობაშია. ერთს ხელ-
მძღვანელობს ამირან ყანდა-
შვილი, მეორეს — შალვა ბაი-
ლოშვილი. ამირანმა პირველმა
გადაიყვანა თავისი ბრიგადა
უგანრიგო სისტემაზე. ამან
გაზარდა მექანიზატორთა შრო-
მა, საშუალოს ხარისხი, მოსა-
ვალი, ხელფასი, პრემია. მა-
გალითად, 1984 წელს არსენ
მჭედლიშვილმა პრემიის სახით
მიიღო... 25(!) ტონა ხორბალი.
თვითონ ამირანს 20 ტონა ერ-
გო. საერთოდ კი კოლმეურნე-
ობის მემინდვრეობის ორივე
ბრიგადის მოწინავე მექანიზა-
ტორებზე პრემიის სახით 150
ტონა ხორბალი გაიცა! ვისაც
ეგონა, ყანდაშვილი ხორბალს
ბოღბისხევის ბაზარზე გაიტან-
და და თითო-ოროლა ფუთო-
ბით მამასისხლად გაყიდა,
შურით ბუტბუტებდა:

— ჩაიქცა ეს ამირანი, კა-
ცო, ნახეთ მაგ ოც ტონა ხორ-
ბალს ბაზარზე რა ფულს ამო-
ალებინებს!

მაგრამ ყანდაშვილი და ბა-
ზარი?! მან ის პრემირებული
20 ტონა ხორბალი ცეკავშირს
შიაყიდა. ბრიგადირს დანარ-
ჩენმა პრემიამიღებულბემაც
მიბაძეს.

ყველაზე „მსუბუქი“ ტვირთი ამქვეყ-
ნად — შვილიშვილია — ამბობს ამირან
ყანდაშვილი.

ერთხელ ყანდაშვილს კო-
რესპონდენტი ეწვია. რაც აინ-
ტერესებდა ყველაფერი ათ-
ქმევინა და ჩაიწერა, ბოლოს
კი ტრადიციული კითხვაც და-
უსვა:

— ბატონო ამირან, როგორც
მხვნილ-მთესველს, რა პრობ-
ლემები გაღელვებთ?

— ეჰ, გლუხკაცს საფიქრალს
რა დაუღუფეს, მაგრამ ერთი ეგ-
ეთი მუწუქი მაზის გულზე,
რომ ან უდროოდ საფლავეში
ჩამაგდებს, ან არადა, ხენა-
თესვანზე სამუდამოდ ხელს ამა-
ლებინებს!!!

— ბიჭოს! — შეფოცდა სტუ-
მარი. — რა არის მაგისთანა?

— რა და, ძალიან უმადუ-
რად ვეპყრობით გამოძცხვარ
პურს — იმდენს არა ვჭამთ,
რამდენსაც ვყრით!!!

— მართალია, — დაუკვერა
კორესპონდენტმა. — რაღაც-
ნაირი დრო დადგა... მახსოვს,
პაპა ერთ ლუქმას არ გადამაგ-
დებინებდა ხოლმე!

— ლუქმაო?! — კოპები
შეიქრა ყანდაშვილმა, — ლუქ-
მა კი არა, დიდდა სუფრიდან
აღვომას რომ დააპირებდა, ჭერ
კაბის კალთას აიკრეფდა, პუ-
რის ნამცეცებს მუჭაში მოაგ-
როვებდა და ჯამში ჩაიყრიდა.
ხოლო ვარცლიდან შემთხვევით
შოთი რომ დაცემულიყო მი-

წაზე, იმხელას შეპკვილებდა,
გეგონებოდა, აკვირდნენ ჩვილი
გადმოუვარდათო: ქორივით
დააფრინდებოდა პურს, გულ-
საფარს ვაუსვ-გამოუსვამდა,
სულს შეუბერადა, აკოცებდა
და ისევ თავის ადგილზე დაა-
ბრძანებდა. ახლა? ნავაგში
მთელ-მთელი პურებიც ურე-
ვია. მთელ ფუნტუშას ბავშვე-
ბი მიაბურთავენ, მღაზნიის
პურს საქონელს აჭმევენ. სა-
სადილო-რესტორნებში ხომ
პურის ნატენ-ნამტრევის იმ-
ხელა გორები დგას, თუნდა
არნადით მოიხვეტება!.. კაცო,
ერთი რამ მიკვირს: თუკი გა-
ზეთსა და ტელევიზორში ათა-
სი ჭურის დამრღვევ-დამნაშა-
ვეებს გამოაჭენებთ ხოლმე,
მაშინ რატომ არ შეიძლება,
რომ პურის მაოხრებელთა ვი-
ნაობაც დავადგინოთ და საქ-
ვეყნოთ შევარცხვინოთ —
პურის უპატივცემულობაზე
უფრო დიდი ცოდვა სხვა რა
უნდა იყოს?!

— არა, გასაგებია, მაგრამ
მაგის განხორციელება ცოტა
ძნელი იქნება!

— რატომ? არ იქნება ძნე-
ლი! — შეეპასუხა ამირანი. —
თუკი, მაგალითად, ქუჩის უკა-
ნონოდ გადამჭრელს აჩერებთ
და მიზეზს ეკითხებით, პურმა
რაღა დააშავა? შევალთ რეს-
ტორანში და, აგერ, ხუთმა
კაცმა ჭეიფი მოათავა, სუფრა-

ზე კი 10-12 ნაჭერი პური და-
ტოვა. შევეკითხოთ — რატომ?
ამა და ამ მოქალაქემ დიდი
ნავაგს მთელი პურიც მიჭრე-
ვოლა. იქვე ავუწონოთ და
ვიპასუხოთ — რატომ, რა უფ-
ლებით? აგერ, ქუჩაში მოწაფე
ფუნტუშას მოაბურთავენ. ეს-
ეც გავიგოთ: ვინა შობა, ვისი
გვარისაა, სადა სწავლობს?..

— ისე კი, შეიძლება... რო-
გორ არა. — დაჰყაბულდა კო-
რესპონდენტი.

— შარშან გავეთმა „კომუნ-
ისტმა“ ერთი გვერდი სურათე-
ბიანი რეიდის მასალა დაბეჭ-
და — თბილისის სისუფთავეს
ეხებოდა...

— ვიცი, ვიცი, მახსოვს!

— ჰოდა, მე, როგორც ერ-
თი უბრალო ქიზიყელი მხვნილ-
მთესველი, „კომუნისტის“ რე-
დაქციას ვთხოვ, რომ, თუკი ეს
შესაძლებელი იქნება, იმგვარი
რეიდები ქალაქებისა და რაი-
ონების ქუჩებში, უბნებში და
კვარტლებში, კაფე-სასადილო-
რესტორნებშიც მოაწყონ, რა-
თა აიწონოს, გადაანგარიშდეს
და დაახლოებით მაინც შევიტ-
ყოთ ერთ დღეში, ანდა ერთ
სადილობაზე, სად რამდენი
პური იყრება.

— გასაგებია, გასაგებია! —
ისე წარმოთქვა კორესპონდენ-
ტმა, წერა არ შეუწყვეტია, —
თქვევს, ალბათ, ბევრი ჭილღო
გექნებათ?

— ბედს არ ვემდური, —
მორიდებით შენიშნა ყანდა-
შვილმა, — მაგრამ ჩემთვის
ყველაზე დიდი ჭილღო ის დღე
იქნება, როცა საქართველოში
არც ერთი კილოგრამი პური
ალარ დაოხრდება!

ყანდაშვილების კერაზე, გა-
მოსაჩენ ადგილას, მალალ,
პირფართო ვაზაში მუდამ დევს
ლაზათიანად შეკონილი ხელე-
ური. ეს ამირანის სურვილია,
რათა შინაურმაც და გარეულ-
მაც, მტერმაც და მოყვარემაც,
უფრო მეტად კი მისმა პატარა
შვილიშვილებმა — ზურიკომ,
ამირანმა, სოფიკომ და დათომ
კარგად იცოდნენ, თუ მათმა
პაპამ რას შესწირა განვლილი
წლები და რას უნდა შესწი-
როს დარჩენილიც...

დიასახლისის მზრუნველი
ხელი ყველაფერს უვლის და
აკრიალებს. მაგრამ თაროს, სა-
დაც ხელეურიანი ვაზა ყელ-
ყელაობს, მტერის გადასაწმენ-
დი ზვარი არასოდეს ეხება:
შემხმარი თაფთავებიდან ჩამო-
ცვენილი და ბროლის ვაზის
ირგვლივ ოქროს მარცვლები-
ვით მიმოფანტული თითო-ორ-
ოლა ხორბალი ხელუხლებელი
უნდა იყოს, როგორც უტყუ-
არი ნიშანი ოჯახის, ერის სი-
კეთისა და სიღონიერისა.



ე

ს სტრიქონი რომ
გალაქტიონისაა, ვინ
არ იცის, მაგრამ მე
სათაურად მივეცი
ამ წერილს სწორედ
იმიტომ, რომ, ასე მგონია, შე-
სანიშნავად ხატავს დიდი პოე-
ტის სახეს ოქტომბრის რევო-
ლუციის დღეებში.

გალაქტიონი მაშინ იქ იყო,
ნევისპირა ქალაქში, სმოლნ-
თან, ბარიკადებზე, აჯანყებულ
მუშებსა და მეზღვაურებს შო-
რის. მკითხველი თითქოს ხე-
დავს აღფრთოვანებულ პოეტს,
ჯარისკაცებით გაჭედულ ნევის
პროსპექტზე რომ გამოსულა
და „მარსელიეზის“ გუგუნით
მიმავალ ხალხს უერთდება.

ყველაფერი ეს ახლოა გალა-
ქტიონის სულთან და მის წინა-
შე არ მდგარა რევოლუციის
მიღება-არმიღების საკითხი.
მსოფლმხედველობით, ცხოვრე-
ბის წესით, მთელი არსებით
იგი მემამბოხე იყო. პირადი და
საზოგადოებრივი მძლავრად
გადაეკვანძა ერთმანეთს და
შვილდის მოზიდვაც აუცილე-
ბელი გახდა.

დავიწყით იმით, რომ გალა-
ქტიონი უმძაფრესად განიცდი-
და სოციალურ და ეკონომიკურ
ჩაგვრას. თავმომწონე ყმაწვი-
ლი ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა
სიღარიბის დამთრგუნავ ძალას
და შედეგს.

უჭირდა დედას, უჭირდა ძმას.
ხსნა არსიდან ჩანდა.

მის ირგვლივ კი არცთუ
ცოტანი ტკბებოდნენ ამ სოფ-
ლის საიამით. ისინი პირადი ღირ-
სებით მუხლამდეც ვერ მიწე-
დებოდნენ გალაქტიონს და მა-
ინც მალოლიდან დასცქეროდნენ
— რატომ ხდება ასე? —
ეს კითხვა აწამებდა პოეტს.

ამას დაემატა ხელისუფლე-
ბასთან ურთიერთობის გამწვავ-
ებები.

და აი, ერთხელ ქუთაისის
ჟანდარმერიის სამმართველოს
თბილისში უცნობებია: რამდენ-
იმე დღეა, რაც გალაქტიონ
ტაბიძე ქალაქიდან გავიდა, მას
თვალყურს ვადევნებთ და დაბ-
რუნებისთანავე დავაპატიმრე-
ბთო.

საქმე ისაა, რომ პოეტი
მთავრობის საწინააღმდეგო აგი-
ტაციას ეწეოდა. ერთ დოკუმენ-
ტზე ჟანდარმერიის უფროსს
შეუფარავად წაუწერია: „არსე-
ბული ცნობების მიხედვით, გა-
ზეთ „ახალი აზრის“ მთავარი
ხელმძღვანელი გალაქტიონ ტა-
ბიძეა“.

„ახალი აზრი“ კი სოციალ-
დემოკრატიული მიმართულე-
ბის გაზეთი იყო.

... მოთმინების ფიალა თან-
დათან ივსება და ინსტინქტურ
გაბრძოლებას გაცნობიერე-
ბულ-დასაბუთებულ პროტეს-
ტი ენაცვლება. ამ საქმეში არც-
თუ მცირეა მომავალი მეულ-
ლის — ოღია ოკუპაციას ოჯახის

წვლილი. პოეტი რწმუნდება,
რომ ხსნის ერთადერთი გზა
შეიარაღებული აჯანყებაა. ამი-
ტომაც მიეგება ასეთი აღფრ-
თოვანებით თებერვლის რევო-
ლუციას: გათენდა, ცეცხლის
მზე აენთო, აცურდა, დროშე-
ბი ჩქარა!..

ეს დასაწყისია განთიადისა.
წინ დიდი გზაა. ამიტომაც იყ-
რის მუხლს იმათ წინაშე, „ვინც
კვლავ გვაბრძოლებს იმედით“.

პოეტის გაგებით, თებერვ-
ლის რევოლუციის ისტორიულ-
ლი მნიშვნელობა ცარიზმის
დამხობაში გამოიხატება. ლექ-
სში „ათრობდა ხალხთა მწუნა-
რება“, რომელიც 1917 წლის
25 მარტს არის დაწერილი, არა-
მარტო წარსულის სურათებია
გაცოცხლებული, არამედ მოხა-
ზულია მომავლის კონტურე-
ბიც: „ამხანაგებო! განახლების
ზარმა დარეკა, ტახტი დაეცა
და იმედად ქაოსზე დგება: თა-
ნასწორობა, რესპუბლიკა, თა-
ვისუფლება!“

გალაქტიონი გულწრფელია,
ნაღი და უშუალო. ეს ჩანს
დედისადმი გაგზავნილ ბარათ-
შიაც. „ეხლა გამაგრდი, დედა!
მთელი ქვეყანა გახარებულია
თავისუფლებით, შენც უნდა
იყო მხიარულად“.

თებერვლის რევოლუციის
შემდეგ რუსეთი აფუსფუსე-
ბულ სქას დაემსგავსა. დარღვე-
ულმა სამოქალაქო ცხოვრებამ,
ეკონომიკის დაქვემდებარე-
ბამ და მოულოდნელო-
ბებმა ზოგი ევროპაში გახიზნა,
ზოგი შინ შეკეტა, ზოგსაც
პროვინციაში მყოფი შორეუ-
ლი ნათესავი მოაგონა.

თბილისი და ქუთაისი გაივსო
მოსკოვიდან და პეტერბურგი-
დან დაბრუნებული ქართვე-
ლებით. ჭეშმარიტად დიდი იყო
მყუდრო სავანისაქენ ლტოლ-
ვის სურვილი. და ამ დროს
გალაქტიონი საპირისპიროდ იქ-
ცევა — რუსეთისაქენ მიისწრა-
ფვის.

წინა წელსაც ესტუმრა იგი
მოსკოვს. სწავლამოწყურებულ
ახალგაზრდას ცოდნის გაღრმა-
ვება სურდა.

მაშინ ჯვარს ეცვა პოეტი.
ხელმოკლეობა ორმაგად მიძიმე
იყო მოზიმიმე დედაქალაქში.
1916 წლის 6 ნოემბერს გალაქ-
ტიონი ძმას სწერდა: „... ხედავ
უზარმაზარ სახლებს, ამჩნევ
თუ რამდენი სიმდიდრეა მათ-
ში... ყოველ წამს რეკავს ტრა-
გვია, ქროლავენ ავტომობილე-
ბი, ძვირფასი ეტლები. გაბრძო-
ვებს ელექტრონის სინათლე,
თეატრებისა და კაფეების ელ-
ვარება. ყოველ წამში გრძნობ,
თუ რა საშინელი წყევლაა კა-
ცის თავზე ღარიბად დაბადება.
მე არ მიყვარს ჩემს თავზე ლა-
პარაკი, მაგრამ ეხლა ვიტყვი:
ვერავინ ვერ ამჩნევს ამას, მაგ-
რამ ჩემში ბევრი ცეცხლი იყო,
ბევრი სიცოცხლე, ბევრი სუ-



ე, წინააღმდეგობა უზრუნველად

ნოდარ ტაბიძე

ლიერი ელვა. ახლა ვგრძნობ,
რომ თანდათან ვცივდები, ვბე-
რდები, ოჰ, მერე რანაირად მე-
ყინება გული, რომ იცოდე...“

ასეთი ტანჯვის გადაძანს
კვლავ რუსეთისაქენ მიუწევს
გული და მისი ზოგიერთი ნაც-
ნობი, ირიბი ღიმილით ამტკი-
ცებს, გალაქტიონი ახიარებუ-
ლიაო.

ვერ მიმხვდარა ის, ამის
მთქმელი, საკუთარ ნაჭუჭში ჩა-
კეტილი ობივატელი, რომ უზა-
რმაზარ ხომალდს თვალუწე-
დენელი ოქეანე სჭირდება.

რუსეთში გამგზავრების წინ
ბაგრატის ტაძარი მოინახულა,
ჩუქურთმიანი სვეტის თავს
მიუთაღერსა და ლექსით გამოე-
მშვიდობა.

პარადოქსია?! არა! გალაქტი-
ონისათვის ჩუქურთმა ჰარმო-
ნიულობის სიმბოლოა და რე-
ვოლუციის საბოლოო მიზნა-
დაც სწორედ ჰარმონიის დამ-
კვიდრება ესახება.

გალაქტიონი მოსკოვშია...
მოსკოვი უჩვეულო ცხოვ-
რებით ცხოვრობს. მალალი

სამრეკლოდან ტყვიამფრქვე-
ვი კაქანებს. ქუჩა სავსეა
უპატრონო მკვდრებით. მახორ-
კა ოქროდ ფასობს. დიდ თეა-
ტრში ოპერა მიდის. ცირკში
ქურდები მიტინგს მართავენ...
და მაინც იგრძნობა, რომ არე-
ულობა დიდხანს ვერ გასტანს.

პოეტი მთლიანად იძირება
მოსკოვის ყოფაში. ზოგჯერ ხე-
ლში შაშხანით დგას საღარა-
ჯოზე. ხან რიგს იცავს მღაზი-
ასთან, სადაც ორმოცდაათ გრამ
პურს არიგებენ. გვიანობამდე
რჩება თამბაქოს ბოლით გატე-
ნილ პატარა ოთახში და უსმენს
ბოლშევიკებს, რომლებიც მო-
მავლის ბრწყინვალე სურათებს
ხატავენ.

„ბრავდის“ რედაქციასაც ეს-
ტუმრა. ნაცნობი მოინახულა.
ძველმა იატაკქვეშელმა კარგად
იცის, ვინ არის გალაქტიონი.
ამიტომაც ეუბნება: რეკომენ-
დაციას მოგცემ პარტიამი შე-
სასვლელად, მე შენ სავსებით
გენდობო.

რევოლუცია ფართო და
მძლავრი ნაბიჯებით დააბიჯებს.

ქველს ანგრევს, სპობს, ანაღ-
გურებს და გალაკტიონი გრძი-
ნობს, რომ ეს არის მოედნის
მოსწორება დიდი და ლამაზი
შენობის ასაგებად.

ნებისპირა ქალაქიდან უჩვე-
ულო ამბები მოდის. იქ ფეოქს
ახალი სამყაროს გული. გალაკ-
ტიონი ემშვიდობება მეუღლეს
და პეტერბურგისაკენ მიჰქრის.
მინებჩაღვწილი ვაგონი. მგზავ-
რები იატაკზე, კიბეებზე, სახუ-
რაზე... ხრიალი, ხველა, ზოგ-
ჯერ სიმღერა, უფრო ხშირად
წყევლა. ყველაფერს ნაცრის-
ფერი დასდებია. გალაკტიონს
თვალში ეჩნირება ნაცვაილა-
რი ცალთვალა ჯარისკაცი. მას
მკერდთან ფარაჯა უწითლდებ-
და. „სისხლი, სისხლი!“ — ყვი-
რის პოეტი. დაჭრილი ჰგონი-
ათ. გადაუხსნეს ფარაჯა და გად-
მოვარდა მაჯაში გადაჭრილი ქა-
ლის ხელი თითებზე ოქროს
ბეჭდებით, ბრილიანტებით...

ფატორაკებითაა სავსე ეს მო-
გზაურობა. შებინდებისას გა-
მოჩნდა პეტერბურგი „ასეთი
კარგი და უდაბური“.

ორმოცი წლის შემდეგ გა-
ლაკტიონი იგონებდა: „ყმაწვი-
ლობისას ბევრს ვოცნებობდა
ამ ზღაპრულ ქალაქში მოხვე-
დარაზე. წიგნებით, სურათებით
ისე ვავითვისებ მისი ქუჩები
და მოედნები, რომ თვალდახუ-
ჭულსაც შემქმნო ვაგლა. მაგ-
რამ პეტერბურგში ჩასულს
არც კი ვამიხედავს ისაკის ტა-
ძრისა თუ ფონტანისაკენ,
სმოლს მივაშურე. იქ ი. სტა-
ლინს შევხვდი“.

სტალინთან შეხვედრას იხსე-
ნებს ერთ მოგვიანო ჩანაწერ-
შიც. გალაკტიონის არქივში კი
ვერ მივაკვლივ სტალინთან სა-
უბრის თუნდაც მოკლე შინა-
არსს.

პირად საუბარში არაერთხელ
გაუხსენებია ეს შეხვედრა. აი,
ამის ზუსტი ჩანაწერი (ჩავიწე-
რე 1954 წელს):

— ძალზე კარგად მიმილო
სტალინი. საქართველოს ამბე-
ბით ინტერესდებოდა. საერთო
ნაცნობებიც მოიკითხა. მთელი
საათი ვისაუბრეთ.

— ჰქონდა აძლენი დრო? —
ვეპვივებ მე.

— საუბარი ხელს არ უშლი-
და, სხვა საქმეც ეკეთებინა. შე-
მოდითოდნენ და გადიოდნენ მა-
უხერიანი მუხღვანურები, ფარა-
ჯიანი ჯარისკაცები...

— რით დამთავრდა თქვენი
შეხვედრა?

— შემომთავაზა, სასწრაფოდ
შუა აზიაში გავმგზავრებულ-
ყავი და სათავეში ჩაედგომოდი
ბასმჩაების წინააღმდეგ მებრ-
ძოლ დიდ რაზმს.

— მერე?

— მეორე დღეს ავად გავნ-
დი. ცუდად ვიყავი ჩაცმული...
ისე, კაცმა არ იცის, იქ რომ წავ-
სულიყავი, ეყოლებოდა თუ არა

საქართველოს სახალხო პო-
ეტი.

პეტერბურგიდან პოეტი მოს-
კოვს ბრუნდება. კვლავ რევო-
ლუციონერება წრეში ტრიო-
ლებს. ცდილობს, არ დააკ-
ლდეს მნიშვნელოვან შეკრე-
ებებს. მოწმე ვახდა გრად
მირბახის მკვლელობისა. ესე-
რების დაპატიმრებასაც შეეს-
წრო. საქმე ბევრია, მაგრამ
უფრო და უფრო ძლიერად
ემის ივერიის ზარების გუ-
ღუნი. ლურჯი ცა და მცხუნ-
ვარე მზე სამხრეთისაკენ ეზი-
დება. აქვე უნდა ვავისხენოთ
პოეტის გულწრფელი გამონათ-
ქვამი: საქართველოში „ვერძ-
ებში მხოლოდ, რომ ღმერთი
ვარ“. ეს გალაკტიონის ერთ-
ნული თვითშეგნების უმძაფრე-
სი გამოვლენაა, მისი პოეზიისა
და პიროვნების შინაგანი ძა-
ლა.

ბოლოს და ბოლოს, მეუღ-
ლისა და მისი გავლენიანი მე-
გობრების წყალობით მოხერხ-
და, გერმანულმა ტყვეობიდან
განთავისუფლებული ქართვე-
ლი ჯარისკაცებით სავსე ვაგონ-
ში ადგილი ემოგნა.

ეშელონი, რომელიც საქარ-
თველოსკენ მოეშურება, ყო-
ველგვარი გრაფიკის ვარეშე
მოძრაობს. ვადამწვარი სოფლე-
ბი, დანგრეული ქალაქები, ვა-
დათხრილი მიწდვრები. უკრაი-
ნაში კვლავ შეუპოვარი ბრძო-
ლებია. სადგურ ნეჟინში პოე-
ტის თვალწინ გათამაშდა სისხ-
ლიანი ღრამა: ჰაიდამაკებმა და
ვერმანელებმა ვაგზლის შენო-
ბაში ვამაგრებულ პარტიზანე-
ბი ტყვიებით დაცხრილეს.

გალაკტიონმა ვაჭირვებით მი-
აღწია ოდესამდე. იქ შედარე-
ბით იოლადა იშოვა ბილეტი და
გემი „დალანდი“ საქართვე-
ლოს მოაშურა:

გახსენებების მომძახოდა
მტაცველი ლანდი:
შენ და მოსკოვი,
პეტროგრადი, ლენინი,
კრემლი!

შავი ზღვის ზვირთებს
მიაპობდა გემი „დალანი“
და თვალზე მადგა
ვანშორების მსუბუქი
ცრემლი.

* *

რევოლუციამ ბევრი მისცა
მგოსანს. იგი გალაკტიონის სუ-
ლიერ პრიზმაში ვადატყდა, და,
სხვათა შორის, მხოლოდ ლექ-
სებში როდი აირეკლა. მან კვა-
ლი დააჩნია პოეტის მთელ ცხო-
ვრებას.

ღიან, რუსეთს ვამგზავრება
გალაკტიონისათვის არ არის
მხოლოდ ფრთების ვაშლა რო-
მანტიკოსისა.

იგი ვაცილებით მეტს ნიშ-
ნავს. ეს იყო მძლავრი ვამქლა-
გნება ვენიკლური პოეტის ბუ-
ნებისა, იმ თავისთავადობისა.

რითაც ესოდენ განმაცვიფრე-
ბელია ვალაკტიონი.

ჭეშმარიტი მგოსანი იქ უნდა
იყოს, სადაც წყდება ხალხის
ბედი, ქვეყნის ვანახლების სა-
კითხი. ვალაკტიონიც ასე იქცე-
ვა და ერთხელ კიდევ ადასტუ-
რებს, რომ ნერვი ძაფიც არ
არის მასში არა პოეტის.

მაგრამ წერტილის დასმა აქ
არ შეიძლება.

გალაკტიონის მთელი შემოქ-
მედება ფაქტობრივად ადამი-
ანური შეზღუდულობის ვადა-
ლახვისაკენ სწრაფვაა, შეუც-
ნობელის შეცნობისაკენ ლტო-
ლვაა, მიღწეულით დაუქმყო-
ფილებლობაა. ვალაკტიონი ვერ
დამშვიდდება, უხილავი თუ არ
იხილა, მიუწვდომელს თუ არ
მისწვდა, იღუმალი თუ არ შეი-
ცნო. იგი ბოლოქრობს, ეძებს,
მისწრაფვის და ამიტომაც ესა-
ხება ესოდენ საოცნებოდ მოს-
კოვ-პეტერბურგი.

იქნებ სწორედ ეს გრავინეა,
სამყაროს შებარბაცება, ეს
„არნახული აპოკალიფსი“
ქმნის შესაძლებლობას ბედის-
წერის სამანები ვადაარღვიოს,
იქნებ სწორედ სატანტო ქალა-
ქებში იღება, თუნდაც წამი-
რად, ის სარკმელი, საიდანაც
„საიდუმლო მხარეში“ შეხედ-
ვის შესაძლებლობაც იქმნება.

ეს რომ არა, ალბათ არ დაი-
წერებოდა „რამდენიმე დღე
პეტროგრადში“, „როგორ ებრ-
ძოდნენ ზარებს ზარები“, „ქა-
ლაქი წყალქვეშ“, „მოგონება
ყრუ შესახვევისა“, „ცხრაას
თვრამეტი“...

რაც შეეხება „ჯონ რიდს“,
მას ცინცხალ შთაბეჭდილებებ-
ზე ავებული ჩანაწერები უღვეს
საფუძვლად.

„ჯონ რიდში“ ფერმწერის
ფუნჯით არის დახატული ალ-
მოდებული რუსეთი.

ლექსებში ვალაკტიონი შეგ-
ნებულად გაუბრის ბატალურ
სკენებს. იგი რამდენიმე შტრი-
ხით ვადამოგვცემს ძირითადს.
ამ მიზნით ეძებს არა მხოლოდ
დამახასიათებელს, არამედ შთა-
მბეჭდავ-გამორჩეულს.

რევოლუცია ვალაკტიონის
პოეზიაში წარმოჩენილია რო-
გორც უდიდესი ისტორიული
მოვლენა, კაცობრიობის ვანვი-
თარების უმაღლესი ეტაპის და-
საწყისი, ურთულესი და ვლო-
ბალური ფენომენი. ვალაკტიო-
ნისთვის იგი, უპირველეს ყოვე-
ლისა, ვანახლებისა და სიმშვე-
ნიერის სათავეა: ლექსში „წე-
რილი მეგობრებისადმი“ ვკით-
ხულობთ: ო, როგორ მინდა,
მეგობრებო, თუნდაც ერთი
დღით, ჩვენთვისაც იყო უმა-
ღლესი თავისუფლება. ო, რო-
გორ მინდა უფრო მძლავ-
რად ვავშალო ფრთები. ვანა
არ არის საშინელი საცოდაო-
ბა, ისეთ ქვეყანას, როგორც
ჩვენი საქართველოა, რევოლუ-

ცია არ აძლებდეს სიმშვენიე-
რეს?..

გალაკტიონი ოქტომბრის რე-
ვოლუციას არ ზომავს მხოლოდ
რუსეთის მასშტაბით. მას სა-
ქართველოს ბელსაც უკავში-
რებს. პეტერბურგში ამოვარდ-
ნილმა სამუშაო მის სამშობლო-
შიაც უნდა ვადაიაროს. ეს ტენ-
დენცია არაერთ ნაწარმოებში
იჩენს თავს და საგულისხმოა
იმ მხრივაც, რომ რუსეთ-საქარ-
თველოს ურთიერთობის ილი-
ასებურ კონცეფციას ეხმარება.
ერთი სიტყვით, ვალაკტიონი
რევოლუციას ეროვნული პრიზ-
მიდანაც ქვრეტს.

აქ პირდაპირ უნდა ითქვას,
რომ რევოლუციურ თემატიკას
ბზარი არ ვაუჩენია ვალაკტიო-
ნის საერთოდ მოწესრიგებულ
და პარამონიულ პოეზიაში.

ახალი შინაარსი ახალ ფორ-
მას მოითხოვს. რღვევა, მოვლენ-
ების სწრაფი ცვლა, სოციალ-
ური ცხოვრების მჩქეფარე რი-
ტმი ხელოვანის წინაშე მთელი
სერიოზულობით აყენებდა ვა-
მოსახვის ახალი საშუალებების
მიგნების საკითხს.

1922 წელს ვალაკტიონი წე-
რდა: „მე-5 საუკუნის სტილი
შვენიის თვით მე-5 საუკუნეს.
მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის
იგი მარტოდენ მოხბება. ჩვე-
ნი პოეტისათვის ძვირფასია
ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ
გვყავს ახლებიც, ისეთებიც,
რომლებიც შეშფერიან ჩვენს
დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს
კულტურულ დონეს. ჩვენს
ტექნიკურ მიღწევებს. ჩვენ ვან-
ვიცადეთ მსოფლიო ომი, დიდი
რევოლუცია, არავინ არ უარ-
ყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხო-
ვრება, ახალ ცხოვრებას სჭირ-
დება ახალი ფორმები, ახალ
ფორმებს კი ახალი სიტყვა.“

პოეტი არა მარტო გრძნობს
ამის აუცილებლობას, არამედ
სათანადო სიღრმითაც წარმარ-
თავს ძიებებს პოეტიკის სფე-
როში. მან რევოლუციის მაჯის-
ცემას შესაბამისი რიტმი მოუ-
ძენა.

ყოველივე ზემოთქმული უფ-
ლებას ვვაძლევს დავასკვნათ,
რომ რევოლუციამ ვალაკტიონ-
ზე უდიდესი ვავლენა მოახლი-
ნა. ეს, უპირველეს ყოვლისა,
მისი ლექსების თემატიკასა და
პოეტიკაში გამოვლინდა. მაგ-
რამ არანაკლებ მნიშვნელოვანია
ისიც, რომ ვალაკტიონმა
სწორედ თავისი რევოლუციუ-
რი ლირიკით, მსოფლმხედველ-
ობით კვალი დააჩნია მთელ ქარ-
თულ მწერლობას, ახალი მწვე-
რეალები მოიწინა და ახალი
კალამოტი ვასჭრა.



შეიტყობთ, რომ ეს ყინვაში ნაწრთობი კაცი ქართველია, თბილ ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი.

მისი ფიზიკური და სულიერი სიძლიერე სპორტთან მეგობრობამაც განაპირობა. რაც შეეხება მის ფანატიკურ სიყვარულს არტილერიისადმი, ესეც სიჭაბუქის წლებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით იტაცებდა მათემატიკური საგნები, ნადირობა, ომობანას თამაში. სოფელ კურსების (ტყიბულის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ამავე სოფლის გრანიტის ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

1938 წელს სწავლა განაგრძო თბილისის საარტილერიო სასწავლებელში. თერთმეტწლიანი წინააღმდეგ ომის დაწყებამდე დაკავშირებით სწავლის დამთავრება ადრე — 1940 წლის თებერვალში მოუხდა. სასწავლებლის წარჩინებული კურსდამთავრებული საარტილერიო პოლკის ოცმეთაურად დანიშნეს, მალე ბატარიის მეთაურად დააწინაურეს.

დიდმა სამამულო ომმა ვორონეჟში მოუხსრო. სწორედ ამ ქალაქში, ომის წლებში დაიღუპა მისი უფროსი ძმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ალექსანდრე (სანდრო) ალფაიძე, რომელიც აგრეთვე არტილერისტი იყო. 1942 წელს მოსკოვის მისადგომებთან გალაქტიონ ალფაიძე კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. ამავე წლის ოქტომბერში, როგორც არტილერიის საქ-

ნებით იქნა გამოყვანილი. იგი, როგორც ჭეშმარიტი გმირი, ღირსია, რომ მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

მართლაც, 1945 წლის 22 აპრილს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გალაქტიონ ელისეს ძე ალფაიძეს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიანიჭა. მალე ქართველი ოფიცრის პოლკის დროშა ბოვან ნმელნიცკის ორდენმა დაამშვენა. საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს ნაწილის მრავალი მეომარი.

გმირის მხარდამხარ სამი მძიმე წელი ბრძოლებით განვლო მისმა მეუღლემ, სამედიცინო სამხედრო სამსახურის უფროსმა ლეიტენანტმა ალექსანდრა მედვედევა. იგი დაიჭრა, კონტუზიაც მიიღო. ჭრილობა დღესაც ახსენებს თავს. ომგადახდილი კომუნისტი ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მათ ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი აღზარდეს. უფროსი შვილი შოთა ფლოტში მსახურობდა, ახლა მოსკოვის ერთ-ერთ საწარმოში მუშაობს. ქალიშვილი ნათელა ექიმია და მეუღლესთან ერთად (ისიც ექიმია) ჩრდილოეთში მსახურობს. უმცროსმა შვილმა გიორგიმაც უმაღლესი სამხედრო განათლება მიიღო.

ომის შემდგომი წლებიც დიდების შარავანდელით მოსილი აღმოჩნდა გალაქტიონ ალფაიძისათვის. 1946 წელს აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეო-

ბუნებრივი ალფაიძე



მის საუკეთესო მცოდნე 36-ე საარტილერიო პოლკის დივიზიონის მეთაურის თანამდებობაზე დანიშნეს, ხოლო 143 წელს საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსად.

მალე იგი საარტილერიო პოლკის მეთაურად დანიშნა. რამდენჯერმე დაიჭრა კიდევ, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ მწყობრში დგებოდა. მძიმე ბრძოლებით განვლო უკრაინა, მოლდავეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, უნგრეთი, მონაწილეობდა ავსტრიის განთავისუფლებაში.

უკრაინის მესამე ფრონტის ჯარების არტილერიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ნედელინი ალფაიძის დაჯილდოების ფურცელში, რომელიც მან ბალატონის ტბასთან გადატანილი ბრძოლების შემდეგ დაწერა, ასე აგვიწერს მის საბრძოლო მოქმედებას:

„მაიორმა ალფაიძემ თავისი პოლკით გადალახა მდინარეები ბუვი, დნესტრი და დუნაი. ბრძოლებში პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მეომრებს, სავირო საქმეებზე მიჰყავდა ისინი. 1945 წლის 6 მარტიდან 11 მარტამდე მისმა პოლკმა 11-ჯერ მოიგერია მტრის სატანკო შემოტევა ბალატონის ტბის რაიონში. შეუდარებლად იცავდა მისთვის მიჩენილ ზღუდეს. ამ ბრძოლებში მოსპო მოწინააღმდეგის 10 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 23 საცეცხლე წერტი, 8 საარტილერიო ბატარეა. ქვემეხების პირდაპირი დაზიანებით მუსრს ავლებდა მოწინააღმდეგეს. იბრძოდა მამაცურად, მონერბებულად. 10 მარტს დღის განმავლობაში სამჯერ დაიჭრა, მაგრამ თავის საბრძოლო პოსტი არ დაუტოვებია და მხოლოდ საღამოს ბრძო-

რე მოწვევის დებუტატად. ამავე წელს შევიდა ფელიქს ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. შემდგომში, 1957 წელს, ასევე წარჩინებით დაამთავრა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვოროშილოვის სახელობის აკადემიაც.

1961 წელს მიენიჭა არტილერიის გენერალ-მაიორის, 1976 წელს გენერალ-ლეიტენანტისა, ხოლო მომდევნო წელს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება. იგი არჩეული იყო სკკპ XXIII და XXIV ყრილობების დელეგატად.

გალაქტიონ ალფაიძე ამჟამად მოსკოვში მოღვაწეობს.


პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე. იგი დაჯილდოებულია ლენინის, ორი წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის I ხარისხის, შრომის წითელი დროშის, ოთხი წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მრავალი მედლით, აგრეთვე უცხოეთის ორდენებითა და მედლებით. არჩეულია კალუგის ოლქის ქალაქ მალოიაროსლავეცის, ქ. მირნისა და მშობლიური ტყიბულის საპატიო მოქალაქედ.

გივი გეფაძე

სურათიდან: გალაქტიონ ალფაიძე 1946 წელს, რუმინეთში; კურსების საშუალო სკოლის პიონერიული რაზმეულის საპატიო პიონერად არჩევა;

სელემაყურებელი ინტერესით აღევნებს თვალს ცისფერი ეკრანიდან „ვრემიას“ გადაცემას: მოსკოვის საცურაო აუზში მრავალი „მორჯი“ ბანაობს. აი ერთ-ერთი მათგანი, ათლეტური აღნაგობის ულვაშებიანი ჯმუხი კაცი ყინულოვან წყალს თითქოს სინანულით ტოვებს და ნაპირისაკენ მოეშურება. აქ მას სიურპრიზი ელოდება — ახლობლები, თაყვანისმცემლები ცოცხალი ყვავილებით, მხიარული განწყობილებით ეგებებიან და დაბადების სამოცდამეათე წლისთავს ულოცავენ. გაოცებას ვერ დაფარავთ, როდესაც

**პარტია დასახული ამოცანების
წარმატებულ გადაწყვეტას უკავშირებს
ადამიანის ფაქტორის როლის
ზამკნირებას.**



არდაქმნა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ადამიანიდან იწყება. ადამიანის განვითარება-სრულყოფაშია ჩვენი საზოგადოების წინაშე მდგომი ყველა პრობლემის გადაჭრის საფუძველი. „პარტია დასახული ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას უკავშირებს ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერებას. სოციალისტური საზოგადოება ეფექტიანად ვერ იფუნქციონირებს, თუ ცხოვრების ყველა სფეროში არ მიაგნო მასების შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ახალ გზებს. რაც უფრო მასშტაბური იქნება ისტორიული მიზნები, მით უფრო საჭიროა მილიონთა ბატონპატრონულად დაინტერესებული, პასუხისმგებლური, შეგნებული და აქტიური მონაწილეობა მათს მიღწევაში“, — აღნიშნულია სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში.

ადამიანი, კ. მარქსის ცნობილი განმარტებით, ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ადამიანის ფაქტორის ცნებაში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სოციალურ და მასთან ერთად ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც ამა თუ იმ სახით ვლინდებიან მის მოქმედებაში და ამით გავლენას ახდენენ სოციალურ პროცესებზე როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მიმართულებით.

თანამედროვე პერიოდში ადამიანის ფაქტორის როლის გააქტიურების აუცილებლობა განაპირობა ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის საგრძნობმა ამაღლებამ. თვისებრივად შეიცვალა საზოგადოების მთავარი მწარმოებლური ძალა, არსებულად გაიზარდა მისი შემოქმედებითი-აღმშენებლობითი შესაძლებლობანი, ამაღლდა სახალხო მეურნეობაში დასაქმებული კადრების პროფესიული ოსტატობა, საერთო განათლებისა და კულტურის დონე.

ადამიანის ფაქტორის გააქტიურების აუცილებლობა იმ გარემოებამაც განაპირობა, რასაც „წარსულის გაკვეთილი“ შეიძლება ეწოდოს. წლების მანძილზე სოციალური სფეროს განვითარებაში მთელი რიგი პრობლემები დაგროვდა. სამეურნეო პრაქტიკაში ფეხი მოიკიდა სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარების საჭიროებისათვის რესურსების ნარჩენების გამოყოფის პრინციპმა, რაც ამ სფეროს ჭეროვანი შეუფასებლობიდან გამომდინარეობდა. ტექნოკრატიული მიდგომისაგან გარკვეულმა გადახრამ უარყოფითად იმოქმედა კულტურის მატერიალური ბაზის განვითარებაზე.

მეთერთმეტე ხუთწლეულში მკვეთრად შემცირდა კულტურული მშენებლობის ტემპები და ეს მაშინ, როცა კავშირის მასშტაბით ხუთასამდე რაიონულ ცენტრს არ გააჩნია კულტურის სახლები, ბევრ მსხვილ დასახლებულ პუნქტს არა აქვს კლუბი. 1965 წლიდან მოყოლებული, ჩვენს ქვეყანაში 130 ახალი თეატრი გაიხსნა და მათმა რიცხოვნობამ ამაჟამად 622-ს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ეს მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება იმამდელ დონეს, როცა სსრ კავშირში 900-ზე მეტი თეატრი ფუნქციონირებდა. სოციალურ-კულტურული სფეროსადმი არასაკმარისმა ყურადღებამ გამოიწვია შრომის შედეგებით შრომელთა დაინტერესების შემცირება, დისციპლინის შესუსტება და სხვა უარყოფითი მოვლენები.

ადამიანის ფაქტორის როლის ამაღლების ძირითადი გზაა ადამიანის — როგორც ძირითადი მწარმოებელი ძალის — შრომითი და მმართველური აქტივობის გაძლიერება. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ მიიღწევა სამეურნეო, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი ღონისძიებების ერთობლივად გატარების საფუძველზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ რიგზეგების გამოვლენას და მაქსიმალურ გამოყენებას, რომლებიც ამ სფეროში არსებობს. ისინი კი ყოველ შრომით კოლექტივში, თითოეულ ადამიანშია მოქცეული და გულისხმობს მათ ძირეულ და ინტერესებს მალაღობა საბოლოო შედეგების მიღწევით.

შეცდომა იქნებოდა შრომის მწარმოებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების დაბალი დონის მხოლოდ მშრომელისათვის გადაბრუნება. ხშირ შემთხვევაში დარღვევები შედეგად მოსდევს არა მუშის უღისციპლინობას, არამედ საწარმოთა ადმინისტრაციის უგერგილობას, წარმოების არაორგანიზებულობასა და არითმიულობას, იმას, რომ თავის-დროულად არ ხდება საჭირო ნედლეულისა და მასალების მიწოდება, რაც მოცდენებს იწვევს. სწორედ ამიტომ, რომ

ბევრ საწარმოში თვის დამდევს მოცდენა უფრო მეტია, ვიდრე მუშაობა. სამაგიეროდ, თვის დამდევს იწყება იერარქიული და ამას თან მოსდევს ნაწარმის ხარისხის გაუარესება, აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ კოოპერირებული მიწოდების გეგმის შესრულებასა და პროდუქციის ხარისხზე მატერიალური პასუხისმგებლობის ამაღლების გზით.

წარმოების პროცესის სათანადო ორგანიზაცია იმ თვალსაზრისითაც არის აუცილებელი, რომ ყოველ, თუნდაც მცირე, დარღვევასაც კი ამ სფეროში თან მოსდევს უფრო უხეში დარღვევები, მაგალითად, ისეთი, როგორცაა მიწერები. გეგმის ფაქტობრივი შეუსრულებლობის შემთხვევაში ზოგიერთი საწარმოს ადმინისტრაცია შესრულების ფიქციას მიმართავს. ამისაგან მას ის უბიძგებს, რომ გეგმის შესრულება-შეუსრულებლობაზე დამოკიდებული მისი თანამდებობრივი თუ მატერიალური მდგომარეობა. მაგრამ რატომ დუმს ამ შემთხვევაში მუშა? პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მუშაც თავისებურად დაინტერესებულია მიწერით. თუ მუშა თავისგან დამოუკიდებელი მიზნების გამო ვერ



ასრულებს შრომით ოპერაციას. მას უფლება აქვს, მოითხოვოს აქტის გაფორმება და მოცდენის ანაზღაურება. ამას კი, როგორც წესი, მუშა არ აკეთებს იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში იგი გაცილებით უფრო ნაკლებ ანაზღაურებას მიიღებს, ვიდრე გეგმის ვითომდა შესრულების შემთხვევაში. ის რაც ხელს აძლევს საწარმოს ადმინისტრაციას, ხელს აძლევს მუშასაც, როგორც მოცემული კოლექტივის წევრს. მაგრამ ხელს აძლევს თუ არა ეს საზოგადოებას და თუნდაც იგივე მუშას — როგორც საზოგადოების წევრს? რა თქმა უნდა, არა.

თანამედროვე პირობებში შრომელი ადამიანის შრომითი აქტივობის ამაღლების გადაწყვეტი პირობაა მატერიალური სტიმულების სისტემის არსებითი გაუმჯობესება, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების პირობებში მატერიალური სტიმულირების მთავარი და გადაწყვეტი ინსტრუმენტი ხელფასია. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: რამდენად შეესაბამება ხელფასის მოქმედი სისტემა მისი მასტიმულირებელი ფუნქციის გაძლიერების ამოცანას? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ნაკლებად შეესაბამება. ხელფასის თანამედროვე სისტემა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი — ეს არის ე. წ. „საგარანტიო“ ხელფასი, რომელსაც მუშა შრომითი პროცესისათვის ლეზულობს, მეორეა — „გამომუშავებული“ ხელფასი, რომელსაც იგი ლეზულობს შრომის კონკრეტული შედეგისათვის. ამაჟამად თანაფარდობა ხელფასის ამ ორ ნაწილს შორის აშკარად პირველის მხარეზეა. ხელფასის მასტიმულირებელი როლის გაძლიერება კი მოითხოვს „გამომუშავებული“ ხელფასის წინა პლანზე წამოწევას.

სკკპ XXVII ყრილობაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ამ მომენტებს. აღინიშნა, რომ შეუწყნარებელია მუშაკის შრომითს წვლილთან დაუკავშირებელი ხელფასის „საგარანტიო“ განაკვეთების დადგენა.

**ელგუჯა მევზაბიშვილი,
მიხეილ ჯიჯუბი,
აკონომიკის მცოდნეობათა კანდიდატი.**

ერთმანეთს ესაუბრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის ბაგვა, საქართველოს სსრ მცენიერების და მასწავლებლის მოღვაწე, პროფესორი ბიძინა ლუტიძე, კომპაზიტორის კომიტეტის მდივნის მოადგილე ბადრი ნაჭვია და ფილოლოგია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მამუკა ღუნდუა. ბთავაკოვით მათი საუბრის ჩანაწერს.

დილოგი და არა მონოლოგი, — აი რა ინსახლავს-
 რლოგის ალზრდა-ბანათლების ნამდვილად ქვემოქმედები-
 თი პროცესის აუცილებელი ელემენტი. უჩინო უნდა
 მ. ს. რაბაჯიანი

ბიძინა ლუტიძე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამჟამად უმაღლესი სკოლა დიდი შემობრუნების ეტაპზე იმყოფება. გარდაქმნა მოიცავს საქმიანობის ყველა სფეროს — სწავლებისა და აღზრდის შინაარსს, ფორმებს, მეთოდებს, ყველაფერს, რაც კი ახალგაზრდა კადრების მომზადებასთან, მათი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული.

საკავშირო და რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ საზოგადოებათმცოდნეების ფორუმებზე ახალი, ფართო მნიშვნელობის ამოცანები დაისახა უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების წინაშეც. ყოველივე ეს საგნებით ბუნებრივია. თვისებრივი ძვრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შეუძლებელია მაღალპროფესიული მომზადების სპეციალისტების გარეშე, რომელთაც ამასთანავე მტკიცე იდეური რწმენა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის დამკვიდრების ჩვევები უნდა ჰქონდეთ გამოძულებული.

ბადრი ნაჭვია. ამჟამად მართლაც ვაბედულად დაიწყო საუბარი იმ პრობლემებზე, რომლებიც ძალიან ადრევებს სტუდენტობას. მათი დიდი ხნის სურვილია, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებში ლექცია-სემინარები უფრო მიმზიდველი, საინტერესო გახდეს. ეტად იყოს დაკავშირებული თანამედროვეობასთან, რესპუბლიკის ცხოვრებასთან...

მამუკა ღუნდუა. და რომ არც მწვავე საკითხების განხილვასა და განმარტებას უვლიდნენ გვერდს ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები.

ბადრი ნაჭვია. ჩემი აზრით, ამ შეხვედრებზე სტუდენტს საშუალება უნდა ჰქონდეს, გულწრფელად, გულახდილად გამოთქვას თავისი შეხედულება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა, მისთვის საინტერესო, მტკივნეულ საკითხზე და მან პასუხიც უნდა მიიღოს, განმარტებაც.

ბიძინა ლუტიძე. სიმართლეზე თვალს ვერ დავხუჭავთ. ბოლო წლებში მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების სწავლების იდეურ-თეორიული და მეთოდური დონე მართლაც დიდ ჩამორჩა სტუდენტთა ვაზრდის ინტერესებს. შესუსტდა თეორიული სწავლების კავშირი პრაქტიკასთან, ლექტორის სიტყვა რამდენადმე დაშორდა სინამდვილეს, ხოლო, როცა სიტყვა წყდება რეალურ საფუძველს, — როგორც მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა აღნიშნა ყრილობაზე, — ეს სერიოზულად აუფასოურებს იდეოლოგიურ ძალისხმევას. ამ და სხვა ნაკლოვანებებმა შეანეღა ინტერესი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებლისადმი, რამაც აკადემიურ მოსწრებაშიც იჩინა თავი. საკურსო და სახელმწიფო გამოცდებზე სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის ცოდნა „დამაკმაყოფილებელი“ ნიშნით ფასდებოდა ხოლმე.

ბადრი ნაჭვია. იქნებ იმიტომაც, რომ სასწავლო გეგმები ძალზე გადატვირთულია. სტუდენტები ვეღარ იცლიან დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

მამუკა ღუნდუა. თუ ვავითვალისწინებთ იმასაც, რომ სტუდენტი საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით, აგრეთვე სხვა ლიტერატურით ქართულ ენაზე, უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ სურათი. ვფიქრობთ, სწავლების დონის ამაღლებაზე საუბარი ამ საქმის მოუგვარებლად, საფუძველმოკლებული იქნება. გარდაქმნა სწავლებაში პირველ რიგში სახელმძღვანელოებსა და საერთოდ პოლიტიკურ ლიტერატურაზე ზრუნვით უნდა დაიწყო. ან რატომ ხდება, რომ მთელ რიგ დისციპლინებში დღემდე არა გვაქვს სახელმძღვანელოები? მაგალითად, აქამდე არ გამოცემულ (და ისიც საკავშირო მასშტაბით) სახელმძღვანელოები — დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში ფილოსოფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. მოკლებულნი ვართ სახელმძღვანელოებს ბევრ სპეცკურსში. ან რატომ ბრკოლდება მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების ხელახლა გამოცემა? შრომები, რომელთა შესწავლაც პროგრამითა გვაქვს ვათვალისწინებულნი, გამოქვეყნებულია ოცდაათი წლის წინ, ან უფრო ადრე. ბიბლიოთეკებშიც კი ჭირს მათი შოვნა, შეძენაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ბიძინა ლუტიძე. სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურას სერიოზული გადაძულება სჭირდება. ისინი საკმარის მოძველდა, როგორც თეორიული, ისე მეთოდური თვალსაზრისით. ჩვენ უკვე გვაქვს ახალი, დღევანდელი პირობების შესაფერისი სასწავლო პროგრამები. მალე გვექნება ახალი სახელმძღ-

გარეგნა

თანამედროვეობის მოთხოვნა ანუ უკეთირობის პრინციპი

განელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ამასთან არის სიახლე წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს უფლება მიენიჭათ საკითხის ძალეობით მოამზადონ დამხმარე სახელმძღვანელოები, ლექციები კურსელებში, ბუნებრივია, ფართოდ იქნება წარმოდგენილი მათი ცოდნა-რივი მონაცემები. ტიპურ სახელმძღვანელოებში უნდა ამგვარი გამოცემებიც დიდ სარგებლობას მოუტანს მათი ინტელექტუალ-გაზრდობას. ამჟამად რესპუბლიკაში ქმედითი ცდა იქნება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომების განცემად.

ბადრი ნაჭვია. საფუძვლიან სწავლებას, ისევე როგორც სხვა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ბატონობს ასკოლო, ესე იგი „პასიური მოსმენის“ ვითარება.

ბიძინა ლუტიძე. თქვენ ალბათ იმას გულისხმობთ, რომ სტუდენტი უმეტეს შემთხვევაში მართლაც პასიურად მოსმენის როლს ასრულებს ან მის აქტიურობას მთლიანად „აბრუნებს“ ლექტორი.

ბადრი ნაჭვია. დიას, ამ დროს სტუდენტი მოკლებულია აქტიუალური პრობლემების შემოქმედებითი გააზრების შესაძლებლობას.


ბიძინა ლუტიძე. ამჟამად არსებითად იცვლება სასწავლო პროცესის ორგანიზაცია. სწავლების პასიური ფორმებიდან უნდა გადავიდეთ აქტიურ ფორმებზე, მონოლოგიდან — დიალოგზე. ცხადია, ლექცია კვლავ სწავლების ძირითად ფორმად დარჩება, მაგრამ ამოღდება სემინარული მეცადინეობის როლი, გაიზრდება მისთვის განკუთვნილი დრო. ამასთან, ზოგიერთ სალექციო თემაზე ან საკითხზე მოეწეობა დისკუსია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ეს აუცილებელია სტუდენტთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ სტუდენტი გამოვუმუშაოთ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე დაყრდნობით საზოგადოებრივი მოვლენების არსად წვდომისა და მათი სწორი შეფასების უნარი. განზრახულია, რომ საზოგადოებრივი განვითარების განსაკუთრებით აქტიუალურ საკითხებზე სტუდენტებს ჩუქურდეთ სპეცკურები არჩევით. ამ გზით კიდევ უფრო ამაღლდება მომავალი სპეციალისტების მსოფლმხედველობრივი მომზადების დონე.

გარდაქმნის არსებითი შემადგენელი ელემენტია სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია. ამისთვის კი სტუდენტს მეტი თავისუფალი დრო უნდა მიეცეთ. საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ამიერიდან პირველ, მეორე და მესამე კურსის სტუდენტთა კვი-



პროფესორი ბიძინა ლუტიძე და სტუდენტი მამუკა ღუნდუა.



განხილავენ მიმდინარე საკითხებს.



ბადრი ნაჭყებია (ცენტრში) კომკავშირ-ლებთან საუბრობს.

რეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 28 საათს, ხოლო მე-ოთხე და მეხუთე კურსელებისა — 24 საათს. ეს მათ საშუალებას მისცემს, მეტი დრო მოახმარონ საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლას. ფართო გასაქანი მიეცემა ინდივიდუალურ მუშაობას სტუდენტებთან. ასე ხდება ეს უკვე უნივერსიტეტში.

მამუკა ღუნდუა. მე მგონია, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება მრავალრიცხოვანი ჯგუფების მთლიანად ჩაბმა ამ საქმეში.

ბიძინა ლუტიძე. ამჟამად ინდივიდუალური მუშაობისათვის გამოყოფილია სასწავლო ცხრილით გათვალისწინებული სავალ-

დებულო საათები. რაკი სავალდებულოა, მაშასადამე, მეთვალყურეობასაც უწევენ მათ მიმდინარეობას. ეს კიდევ ერთი დამატებითი, ვფიქრობ, შედეგიანი საშუალება იქნება იმისათვის, რომ სისტემატური და გულმოდგინე სწავლა ყველა სტუდენტის საჭიროების წესად, მის მოთხოვნილებად ვაქციოთ. ამასთანავე გაიზრდება ყველა მასწავლებლის პასუხისმგებლობა. მაგრამ რა ფორმებითა და მეთოდებით უნდა განვახორციელოთ ყოველივე ეს, დღესდღეობით ამაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია. გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები, გროვდება გამოცდილება. შესაბამისად დაიხვეწება ინდივიდუალური მუშაობის ფორმები და მეთოდები.

ამჟამად მე პასუხს ვერ ვაძლევ მამუკას მიერ წამოჭრილ საკითხს. ჯერ მკვეთრად არ გვესახება, როგორ ავაწყობთ მუშაობას იმ ჯგუფებში, სადაც ოთხმოცი, ასი ან უფრო მეტი სტუდენტი. მოვიცავთ თუ არა ასეთ პირობებში თითოეულ მათგანს. გვექნება თუ არა საამისო მატერიალური ბაზა, რა ადგილი დაეთმობა სტუდენტთან ინდივიდუალურ მუშაობას მასწავლებლის საერთო სასწავლო დატვირთვაში. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, თანდათან გაირკვევა პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების საფუძველზე.

მომავალში სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც მეტი ეფექტი ექნება, ვინაიდან კათედრების კვლევითი თემატიკა დაუახლოვდება ცხოვრებას. მეცნიერები გაანალიზებენ და განაზოგადებენ რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ახალ მოვლენებს და პროცესებს, განსაზღვრავენ განვითარების რეალურ პერსპექტივებს, რაც მთავარია, შეიმუშავენ პრაქტიკულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს აღმშენებლობითი საქმის წინსვლისათვის.

ბადრი ნაჭყებია. ალბათ საჭირო იქნება, რომ უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობა გავათავისუფლოთ ზედმეტი მეურვეობისაგან, მივცეთ მას მართვის შესაძლებლობა და განვუმტკიცოთ საამისო უნარი.

ბიძინა ლუტიძე. სამართლიანია და დროული საკითხის დაყენება უმაღლესი სკოლის დემოკრატიზაციის თაობაზე. მართლაც, მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ სტუდენტებს თავად მივანდოთ ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა საერთო საცხოვრებელში სათანადო პირობების შექმნა, დისციპლინის დაცვა, სტიპენდიების დანიშვნა და ასე შემდეგ. ამით მათ გამოვუშუშავებთ მართვის ჩვევებს, განვუმტკიცებთ კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას.

მამუკა ღუნდუა. იცით, მე როგორ მესახება გარდაქმნა? მთელი ჩვენი სწავლის, შრომისა და ცხოვრების ყველა მხარე ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს დაწვებული მისაღები გამოცდებიდან, დამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებით. ძალიან დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია კურსდამთავრებულთა დროულად განაწილების საქმე. როცა ახალდამთავრებულ სპეციალისტთა გარკვეული რაოდენობა განაწილების გარეშე რჩება, ეს უარყოფით ზეგავლენას მართო მათზე კი არ ახდენს, არამედ მოსწავლე სტუდენტობაზე საერთოდ. თუ სტუდენტი ხედავს, რომ კურსდამთავრებულები მოკლებულნი არიან მზრუნველობას, ინტერესს კარგავს სწავლისადმი, უხალისოდ ეკიდება, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლასაც. რატომ იღებენ სტუდენტებს ისეთ სპეციალობებზე, რომელთა კურსდამთავრებულებს სახალხო მეურნეობაში ვერ იყენებენ?

ბიძინა ლუტიძე. კურსდამთავრებულთა განაწილების თაობაზე დიდი მუშაობა გეპართებას. ამ საქმეში სულ უფრო ქმედითი მონაწილეობა უნდა მიიღონ მაპროფილებელმა კათედრებმა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ განაწილების გარეშე არ დაგვრჩეს ახალგაზრდობა. სტუდენტს ჯერ კიდევ სწავლის პროცესში უნდა ჰქონდეს შრომითი მოწყობის გარანტია. ამასთანავე, უნდა გაუმჯობესდეს სპეციალისტების მომზადების დაგეგმვა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

გარდაქმნის პროცესში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში. მათ უნდა განამტკიცონ კავშირი კომკავშირის კომიტეტებთან, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებას.

უმაღლესი სკოლის გარდაქმნის ძირითადი მიზანია, მთელი სასწავლო, მეთოდური, სამეცნიერო და აღმზრდელობითი მუშაობა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას დაუქვემდებაროს.

ეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიას ამშვენებენ შესანიშნავი მოაზროვნეები, რომელნიც უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, საყოველთაოდ აღიარებულ ფილოსოფოს შალვა ნუცუბიძეს ამოუდგენ მხარში და ქართული ფილოსოფიური აზროვნება ევროპული კვლევის დონეზე აიყვანეს, თანაც დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის დაძლევა დაიწყეს „შიგნიდან“, მისი საფუძვლიანი მეცნიერული იმანენტური კრიტიკის საფუძველზე. შალვა ნუცუბიძესთან ერთად მოღვაწეობდნენ სერგი დანელია, კოტე ბაქრაძე, მოსე გოგიბერიძე. მათ დაემოწაფა და ოცდაათიან წლებში ფილოსოფიაში საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა გააგრძელა სავლე წერეთელმა.


ოცდაათიანი წლები ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარების მძიმე წლები იყო. ამ დროს მიმდინარეობდა ბრძოლა საუნივერსიტეტო განათლების სისტემისა და უმაღლესი განათლების კლასიკური მეთოდების წინააღმდეგ. მაშინ იმძლავრა პროლეტკულტელთა აქცესებმა კულტურის, განათლების, ლიტერატურის სფეროში. ამგვარი შეტევით მეთოდები გარკვეულ პერიოდამდე სერიოზულ დაბრკოლებად გაჰყვა საქართველოში ფილოსოფიური აზრის განვითარებას. მაგრამ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიულად ძირძველმა საფუძვლიანობამ და ოციანი წლებიდან ფილოსოფიაში მოსულმა აკადემიური რანგის ფილოსოფოსთა თაობის კომპეტენტურობამ რომ იმძლავრა, შესაძლებელი გახდა საკმაოდ სერიოზული დაბრკოლებების გადალახვაც და ფილოსოფიური აზროვნების ახალ დონეზე აღორძინებაც.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინების ამ გზაზე დგას სავლე წერეთელი, რომელმაც ფილოსოფიის დარგში თავისი კვლევის სხვად აირჩია დიალექტიკის თეორიისა და ისტორიის პრობლემები. მას სიცოცხლის ბოლომდე ამ გზიდან არ გადაუხვევია და რადგან მეცნიერის კვლევა-ძიების საგანი პირდაპირ, თუ არაპირდაპირი დიალექტიკის რთული თეორიული პრობლემები იყო, ამიტომ ამ თვალსაზრისით იწერებოდა მისი გამოკვლევები ლოგიკის, ვნოსეოლოგიის, ონტოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის საკითხებზე.

სავლე წერეთელი ქართულ ფილოსოფიაში მოვიდა აზროვნების თავისებური, განსხვავებული წესით. მისი კვლევის წესისათვის არსებითი იყო პრობლემებში უჩვეულო თეორიული ჩაღრმავება, ამ გზით მეტად სკრუპულოზური ახალიზის წარმოება და შემდეგ კი პრობლემის გადაწყვეტისათვის დიალექტიკური სინთეზური დასაბუთების მეთოდის მომარჯვება. ამაში ვლინდებოდა მისი საოცარი უნარი — ლოგიკურ დასკვნა-დასაბუთებამდე აემალღებინა ყოველი პრობლემა, რომლებიც კი მისი აზროვნების არეალში მოემტეოდა.

ვისაც სავლე წერეთლის მსჯელობისათვის მოუსმენია, მისთვის უმალ თვალში საცემი ხდებოდა მკვლევარის ეს საპეციფიკური თავისებურება, მისი მსმენელები სინთეზური გონების მუშაობის სრული დემონსტრირების ამკარა მოწმენი ვხდებოდით.

ქართული ფილოსოფიური აზრი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდა იმ პროცესებს, რაც დასავლეთ ევროპის



მოღვაწე

სავლე წერეთლის დაბადებიდან 80 წელი

ფილოსოფიაში ხდებოდა; ითვალისწინებდა კვლევის იქაურ დონესაც და მის მარცხიან შედეგებსაც. ამ თვალსაზრისით უდგებოდა სავლე წერეთელი გერმანულ ფილოსოფიას, ამ პოზიციიდან აფასებდა ჰეგელის მოძღვრებას, მისი რაციონალური დედაარსის გადამუშავების გზით სახავდა ლოგიკის მეცნიერების განვითარების პერსპექტივებს, დიალექტიკის თეორიული საკითხების შემდგომი საფუძვლიანი დამუშავების გზებს.

რაკი სავლე წერეთელმა კვლევის ობიექტად დიალექტიკა აირჩია, ამიტომ მისი ყოველი შრომა უშუალოდ თუ გაშუალებულიად ჰეგელს ეხება. საყურადღებო ის არის, რომ ჰეგელის მოძღვრების შეფასებისათვის იგი არასოდეს არ იფარგლებოდა სტანდარტად ქცეული დადგენილი ფორმულებით, მას ყოველთვის თავისი საკუთარი ხედვის ასპექტი ჰქონდა მოძებნილი. ისეთ ცნობილ საკითხსაც კი, როგორცაა ჰეგელის მოძღვრების რაციონალური და კონსერვატიული მხარეები, იგი თავისი საზომით უდგებოდა და ჰეგელის მიერ დაყენებულ პრობლემათა მისთვის ჩვეული ახალიზით ნათესი ხდიდა, სადა იყო მართლაც რაციონალური და სადა ის მისტიკური, რომელმაც ჰეგელის პანლო-

გიზში ირაციონალიზმთან კოლიზიაში მოიყვანა.

ჰეგელის ფილოსოფიის დერსკემპლსა რომ იკვლევდა, სავლე წერეთელი ვითომ მხრივ, ლოგიკურის გაგებას მსგეულსადაც საფუძვლიდან ხედავდა გზას დიალექტიკური ლოგიკის სისტემის აგებისათვის, რაც განახორციელა კიდევ თავის „დიალექტიკურ ლოგიკაში“, რომლის გამო მეცნიერს ვარდაცვალების შემდეგ სახელმწიფო პრემია მიენიჭა; მეორე მხრივ, მკვლევარი ჰეგელის მოძღვრებას ფილოსოფიის ისტორიკოსის თვლით აფასებდა და ადგენდა იმ ურყევ მარადიულ ჰეგემარიტეტებს, რაც ჰეგელმა საკაცობრიო აზრს შესძინა.

სავლე წერეთლის დასკვნებს ჰეგელის ფილოსოფიის შეფასებაში, მისგან ლოგიკის განვითარებისათვის რაციონალური მხარის წინა პლანზე წამოწევას და დიალექტიკური ლოგიკის მწყობრი სისტემის აგებას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის, რაც თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიაში კვლავ წინა პლანზე დგას. დასავლურ ფილოსოფიაში კი ხშირად ისმის კითხვა: როგორ უნდა შეფასდეს ჰეგელის როლი თანამედროვეობაში? „ჰეგელი დღეს“ ბურჟუაზიულ დასავლეთში აქტუალურ თემად იქცა. გაჩნდა ალტერნატივა, რომელი ავირჩიოთ — მოდერნიზირებული ჰეგელი, თუ ისტორიული. დამუშავებულია ამ ორი გზის შესაბამისი ჰეგელის მოძღვრების ინტერპრეტაციები.

სავლე წერეთელს თბილისის უნივერსიტეტში კათედრის გამგის თანამდებობაზე და ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობის პერიოდში თეორიული ფილოსოფიური მოღვაწეობა შეთავსებული ჰქონდა ხანგრძლივ და საფუძვლიან პედაგოგიურ მუშაობასთან. იგი განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმაფრენით კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიის ისტორიაში. ბატონი სავლე გამსჭვალული იყო რწმენით — ლექცია გამართლებულია მაშინ, როდესაც ფილოსოფიური მოძღვრების დაფარული არსება გაგებული, როდესაც ლექტორი „დღესელი მყვინთავით“ უშიშრად ჩაღრმავდება მოძღვრებათა პირველად პრინციპებში და რომ უდიდესი სიბრძნის ზიარების ასეთ პროცესშია მხოლოდ შესაძლებელი, გახედულად გაიყოლიო მსმენელი ჰეგემარიტეტის სამყაროსაკენ.


ასე მუშაობდა სავლე წერეთელი სტუდენტურ აუდიტორიაში. ამიტომ იყო, რომ მას არც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების ზღუდეების გადალახვა ერიდებოდა და არც იდეალისტურ მოძღვრებათა საფუძვლიანი ახალიზი ამინებდა, თუმცა ამისათვის არა ერთი თავდასხმა და ბრძოლა გადაუტანია. ეს არ იყო ადვილი საქმე. ბატონ სავლეს ამგვარ ბრძოლებში ეხმარებოდა თავისი მეზობელი მეომრული სულის სიმტკიცე.

სავლე წერეთელს ღრმა ფილოსოფიური აზროვნების უნარი, განსაკუთრებული სიყვარული ფილოსოფიისა და ფილოსოფოსობისადმი შესაძლებლობას აძლევდა, თანამედროვე აზროვნების დონეზე გადაეწყვიტა საკვლევი პრობლემები, ებრძოლა ფილოსოფიური მეცნიერების შემდგომი შემოქმედებითი წინსვლისათვის.

გერბი ზელიძე,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.







თენგიზ ღვინიაშვილი

კომპოზიცია „ბრძოლის შემდეგ“

სოლომონ დოდაშვილი



ბალერინა



საქართველო



სცენა სპექტაკლიდან „ჯაეოს ხიზნები“ მარგო — ნანა ჩიქვინიძე.

ფოტო თარხან არჩვაძისა.



სახიობმა არ იცის, როდის შედგება შეხვედრა ლიტერატურულ გმირთან, რომელსაც სცენური განსახიერებაც (ს შემოქმედებით დაბადებულ იქცევა. ნანა ჩიქვინიძის ცხოვრებაში ეს მოხდა. მან უკვე შექმნა სადღესობის მისი ორი უძლიერესი სცენური სახე — ზიზი (ლ. როსება, „პროვინციული ამბავი“) და მარგო (მ. ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები“), მედია კუჭუხიძისა და თემურ ჩხეიძის მაღალმხატვრულ სპექტაკლებში. ისინი ყველაზე ძლიერ ავლენენ მარჯანიშვილის თეატრის სადღესობა შემოქმედებით მისწრაფებებს.

ამის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ნანა ჩიქვინიძის აქტიორული ინდივიდუალობის ამოცნობა.

ჯერ კიდევ ბავშვი გავიციანთ იგი ეკრანიდან ამ ოცდაათი წლის წინ „მადანას ლურჯაში“, „ჩვენს ეზოში“ და „სხვის შვილებში“. ვის არ ახლოვს თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის ეს მშვენიერი, ცხოვრებისა და ადამიანისადმი სიყვარულით გამსჭვალული ფილმები!

თეატრალურ ინსტიტუტში იმ წელს ჩაირიცხა, როცა მიხეილ თუმანიშვილი სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის ერთობლივი სწავლების უმნიშვნელოვანეს ექსპერიმენტს ახორციელებდა. აქ ეზიარა განცდისა და გარდასახვის ანსამბლური თეატრის რწმენას. ოთხ სასწავლო წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა.

1971 წლიდან ნანა ჩიქვინიძე კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობია. განვლილი თხუთმეტი წლის მანძილზე მან ოცდაექვსი სხვადასხვა ხასიათისა და მნიშვნელობის როლი ითამაშა ყველა რეჟისორთან, ვისაც კი დაუდგამს წარმოდგენა ამ თეატრში. მათ შორის უმრავლესობა თანამედროვე ქალთა სახეებია.

ყველაზე ხშირად მაინც რეჟისორ მედია კუჭუხიძისთან იყო დაკავებული. შეუძლებელია რეჟისორის ასეთი ინტერესი მსახიობისადმი შემთხვევითი ყოფილიყო. ამიტომ არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ „პროვინციულ ამბავში“, მედია კუჭუხიძის შემოქმედებისათვის ამ უმნიშვნელოვანეს სპექტაკლში, ასე სრულად წარმოჩინდა მისი აქტიორული ინდივიდუალობა.

მართალია, ლ. როსებას პიესაში მხოლოდ ხუთი მოქმედი პირია და მათ შორის საგანგებოდ არც ერთი არაა მთავარ გმირად გამოცალკევებული, ზიზის მაინც განსაკუთრებული მისია აქვს, ვინაიდან ყვე-


ლაზე აშკარად მაინც ის ავლენს ავტორის სათქმელს: ისაა სულთ ყველაზე ძლიერი, ისაა პროტესტანტი, ისაა ყველაზე ახალგაზრდა და მომავლის იმედის მქონე. ლ. როსებასთვის ადამიანის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი დადებითი თვისება პროტესტისა და იმედის უნარია.

ასეთი ადამიანის სულიერი სამყარო არაა ადვილად ამოსაცნობი, მით უფრო, რომ ლ. როსება მისთვის ძვირფას ამ თვისებებს ჭერჭერობით მოკრძალებულ ადამიანს მიაკუთვნებს. ამიტომ მათი გამოაშკარებებაც მოულოდნელია — განა ზიზისთან შეხვედრისას შეიძლება იმის წარმოდგენა სულის რა სიმაღლესა და სიძლიერეს გამოავლენს იგი?

ნანა ჩიქვინიძის ზიზი მომცრო ტანის, თითქმის უხორცო არსებაა. ღიბრონი, ლამაზი თვალები აქვს. მზერა — უფრო ხშირად სევდიანი. თუ გაიღიმებს, თვალებში ოჭროსფერი ნაპერწკლები აუციციმდებია და სახე ერთიანად უნათდება. მაგრამ ეს არ ხდება ხშირად. სიტყვაძვირცაა ზიზი და არც ღიმილს იმეტებს. ძლიერი ხმა არა აქვს, მაგრამ საამო ქლერადობისა, მეტყველი, დახვეწილი. სიტყვის ფასი იცის, მღუმარებისა. ნდობით შესცქერის ადამიანებს, ბავშვის მიმდობლობა და მოწიფული ქალის სულის ტკივილი საოცრად ერწყმის მასში ერთმანეთს.

პროვინციის თეატრის სრულიად შეუძინველ ამ მსახიობს სრულფასოვანი სულიერი ცხოვრება სწყურია — შემოქმედება და სიყვარული. ერთი-და-მეორეც არაა ჩვეულებრივი რამ. ცხოვრებაში კი ყველაფერი ჩვეულებრივი და უღიმღამოა — საცხოვრებელი სახლიცა და თეატრიც. მაგრამ ჩამოვა მურმანი — საუკეთესო მსახიობი, ვინც კი უნახავს ზიზის და შეეერთებს მის ამ ოცნებას — გაჩნდა იმედი სიყვარულისა, გაჩნდა იმედი შემოქმედების. მალე ორივეს დაუმსხვრევინ. ჩამოწვება ისევ ღრუბელი. ათასფრად მოელვარე თეატრალურ ფარდას ვერღის მუსიკის თანხლებით რომ შემოცურდება ვანელების უბადრუკ საცხოვრებელში ზიზის ამდლებულ სიყვარულთან ერთად, ისევ ნავთქურის, ტაშტის, სარეცხისა და უთოს სამყარო შეცვლის.

მაგრამ ესეც დროებითია. შინაგანად სრულიად დაცლილ, სასოწარკვეთილ არსებაში კვლავ გაიღვიძებს მშოფთვარე სული. ეს გაღვიძებული სულია რომ გამოსამშვიდობებლად მოსული მურმანისკენ ხელს გააწვდინებინებს ზიზის, რათა



ნანა ჩიქვინიძე და მისი ქმარი

ნანა ჩიქვინიძე. ფოტო გადაიღო 1959 წ. თ. არჩვაძემ.

ერთხელ კიდევ შეიგრძნოს ძვირფასი არსება. იმავე ხელით ამოიღებს ზიზი ღვინის ბოთლიდან მურმანის მორთმეულ პატარა ტოტს, რომელზედაც ოდნავ ფეტიკავს ჭერ გაუშლელი ყვავილი, გულში ჩაიკრავს და გაირინდება მომლოდინე. ასე მთავრდება წარმოდგენა.

ამგვარი სულიერი სწრაფვა, მომავლის ასეთი იმედი შემოაქვს სცენაზე ნანა ჩიქვინიძის ზიზის. გმირია იგი, რადგან დიდი ილიას თქმით „გმირობა, რა სახისაც უნდა იყოს, სულის ღონეა და არა ხორცის“. შედგა როლისა და მსახიობის ის შეხვედრა, როდესაც მათ შორის სრული შინაგანი პარამონიის გამო იბადება მსახიობი.

ზიზის შემდეგ მან მედია კუჭუხიძის სამ მომდევნო დადგმაში განასახიერა: კოპარუ (მ. ჩიკაძეს „სიყვარულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“), „დალი (ლ. როსებას „სიყვარულის მზე“) და კიტი (ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა“). მარგო კი ითამაშა 1984 წელს, თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ „ჯაყოს ხიზნე-ბში“.

ეს სპექტაკლი სოციალურ პრობლემებს ფსიქოლოგიურ ასპექტში წარმოაჩენს ყველა კომპონენტის განსაცვიფრებლად შენმატბილებული ამოქმედებით. აქ ყველაფერი მიზნობრივ კავშირშია და ემსახურება მოქმედ პირთა ცხოვრების, მათ შორის რთული ურთიერთკავშირის უწყვეტ დინებას. ეს კი ყველაზე ძნელია სცენურ ხელოვნებაში. ასეთი თეატრისათვის იღვწის თემურ ჩხეიძე. ღრმა ფსიქოლოგიური შინაარსის გადმოცემა თანამედროვე თეატრის ყოველ სადადგმო საშუალებათა გამოყენებით, — აი, ის რისკენაც იგი ისწრაფვის.

ნანა ჩიქვინიძე მზად იყო ამგვარ სპექტაკლში მონაწი-

ლეობისათვის, გავისხენოთ ნამუსახილი, ავანსცენაზე, სკამზე, მაყურებელთა პირისპირ მჯდომი, ჭრიჭიაშეკრული მარგო, რომელმაც ახლა უნდა გადაწყვიტოს საკუთარი და თენიურაზის ბედიც. ცოტაც და მოვა ამ მღუმარების დარღვევის ყამი. მაგრამ ჭერ სღუმს მარგო. ჩვენ კი უზომოდ შეურაცხყოფილი ადამიანის სულის ყვირილი გვემის. ვგრძნობთ მის სულში მიმდინარე საშინელ ბრძოლას. ჩიხშია მომწყვდეული, სრულიად მარტო უხეში ძალის წინაშე.

სწორედ იმ წუთს, როცა უაღრესად დაძაბულმა მღუმარებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია, მარგომ დაარღვია იგი, მაგრამ არა სიტყვით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ პლასტიკით, ხელის ცეკვადი მოძრაობით... და ჩვენ მივხვდით, რა გადაწყვიტა მან. არც ერთი სიტყვა. მხოლოდ სკამზე მიჯავული უმწეო სხეული, ცრემლით სავსე თვალები და მითრთოლვარე ხელები.

ნანა ჩიქვინიძის აქტიორული სტიქიაა სულიერი ცხოვრების სირთულე და მითრთოლვარება, ადამიანთა შორის არსებული ღრმა და ფაქიზი კავშირის გამჟღავნება, მზერასა და ძლიერ შესამჩნევ ინტონაციაში რომ ამოიკითხება. სხვისი ტკივილის გათავისება შეუძლია. იგი ეკუთვნის მსახიობთა იმ კატეგორიას, რომელთაც ხელთ უპყრიათ თბილი ღირიკის ლამპარი, და იმით მინათებენ გზას მაყურებლისაკენ. მას არ სჭერა, რომ მხიარულებათა სიცოცხლის სიყვარულის ერთადერთი გამოვლინება. მისთვის მთავარია გაამდიდროს მაყურებელი იმით, რაც მასში აღძრავს ზნეობრივ ვალდებულებათა მაღალ გრძნობას.

ნათელა ურუხაძე

ვასა და მიეთმოეთიას აღარ გაკიდებოდა. — თქვენი მოსაწონისად კი ვერ ვიტყვი... დეიქცა ჩემი ვაჩენა... ვერ ვისტავლე... ომი მე დამატყდა თავზე, თბლობა და რანაირი ვაძალეობა, რვა დედამამიშვილის პატრონი.

— ჰო, შენ თქვი, შენი სიტყვა უფრო სარწმუნოა. შენ ქალი ხარ, დედა... ახლა, დედაც შენ ხარ და მამაც. რაიმე გადარუნებული სიტყვა და უკადრი, ხო იცი, თუ შვილი და მომავალი გვინდა, არ გამოდგება. ის ნამეტანი ჩაცეებული თქმა რომ იცი, მთლათ კაკალ-კაკალა. არა, სიმართლე გვინდა, ამიტომ ვართ აქ. ერთმანეთს უნდა მოვეუსმინოთ, უნდა ვაგუროთ.

— აბა, რამ დალუბა მამამისი... რომ იბახოდა: იმ გორაზე ტრაქტორით არ შეისვლება, მეწყერი მიწა, მერიღვევა და უფსკრულში ჩვეიმხვლევეითო.

— კაი ახლა! ვიცით მაგი და ვინაა რომ შენ ქმარს ადანაშაულებს?!

— როგორ, დაილუბა?! — შევწუხდი და ქიშვარდის მივაშტერდი.

— ჰო, გზა გაგვყავდა. მოირღვა მთა, მცოცავი ნიდაგებია, და ბულდოზერიდან გადმოტრია რომ არ მოენდომებინა, კი არაფერი უჭირდა. მარჯვე კაცი იყო. ე ბიჭი, რომ უყურებ, შენ, მამას გავს, გაქცეულ უბელო ცხენს ზედ ევლება... გადმოხტა ის ვანათლებული და ზევიდან დეცა ტრაქტორი... კაი, ახლა შენ, აგრაფინა და, ის, თქვი, ცხენის ამბავი.

— ვაი, რატო ვარ ცოცხალი და რატო მიღვია პირში სული, მე რომ არაფელი დემეცა და არ მომასარგალა!

— ჰე, რა ვთქვი მე!

— ფერმამი ვმუშაობ, ქე იცი შენ და ყველამ... ამ უცხო ადამიანის გარდა, და იმიზა ვამბობ... პროკოფი რომ ცოცხალი იყო, მაშინაც და მერე, აბა, ვინაა ჩვენი პატრონი. ამ არგასაზრდელის გარდა სამი მყავს კილო, ამაზე უნცროსვანები. ვაი, თქვენ დედას, შვილებო!... ჩვენი ფერმა, თქვენ ქე იცით და ამ პატიოსანს არ ეცოდინება, ეგერაა ე, მთაში. იმის გზის გაყვანამ იყო, რომ დამიფსო თვალები. დილა-საღამოს უნდა შერო, დილა-საღამოსაა ძროხები საწველი. უთენია, ალიონზე მივდივარ და, რომ მომხეურდება, მოვდივარ. საღამოს, მზის ჩასვლისას იქა ვარ და შუალამეზე ვბრუნდები. ახლა დანიშნა ახალმა თავმჯდომარემ „მაშინა“, თვარა მაშინ სად იყო. ქალი ვარ და... კაცის ამბავი ხო იცით, არ იზამდა პროკოფი, რომ საღამოს არ ამეეკითხა. დეიქცა ქალის გაჩენა, რა ჯანდაბათ ვინდა, ოთხშვილიანს კი არა, ანგელოზივით ქალიშვილებს არავინ იტაცებს, მარა ვინარია, რომ ქმარს ფეხებზე არ კიდინარ, შუალამეში კლდე-ღრეში უპატრონოდ არ დატრიშინობ...

— მიკითხვა-მოკითხვა და ამისთანები, აბა, როგორ, — მოუწონა ქიშვარდი და გადმოძინდა: ასეთი, ოჯახები და ურთიერთპატივისმცემელი ხალხი მყავს, რატომ გგონიათ ჩვენს აქ არაფერს ვაკეთებთო.

მე თავი დავექნე და აგრაფინას შევაჩერდი.

— ასე იყო... ასე ვყავდი მიჩოული და... რომ დამეფსო თვალები და დამიდგა ყურები, მერე ამან... რატო ფეხები არ დატყდა, ეგდებოდა სახში და ეს ამბავი არ მოხებოდა, ამან დეიქცო საღამობას ამოკითხვა. ვერც მე ვქენი სხვანაირად. იქ რო ჩამევიდოდი, სადაც მამამისი... რატო დავრჩი მის უკან... ვასრისა იმ უშველებელმა რკინამ... ყოველთვის მესმოდა წელმგამოყრილი პროკოფის ძახილი: „ვაიმე!.. მიშველე, აგრაფინა, მიშველე,

მიშველეო!“ და იმ დასაქცევში გადავარდნა მიხდოდა. ვითომ, თავის მოსაკლავად კი არა საშველად! და ეს, მომსპარ-მორეცხილი, რომ გვერდით მყავდა... მარტო ჩვენ ხო არ ვიყავით, მწველავები გვანდა, მარა ქალებს კი ვერ ვხედავდი, იმგვანს ხო არ ესმოდათ... ამას, ამ დასაყრუებელსაც ეყურებოდა მომავლადი მამამისის ძახილი და მამაგრება. გზის იმ მხარეზე დამიდგებოდა და წელზე ხელს მხოვდა... ყორიფელი რაფერ გადავებით.

— ბრძანეთ, ქალბატონო, ბრძანეთ. ყველაფერი ძალიან, ძალიან ვასაგებია.

— არაფელია იმაზე დიდი ბედნიერება, აღამიანი რომ აღამიანს შეხვდება. შენ გაჭირვებას კი ვერავინ წვილებს სახში და შენ უბედურებას კი ვერავინ აწევს, მარა გეშეღავთება. იჯერებ, რომ ქვეყანა არ დაქვეუღა და შვილს და მომავალს რომ ზდი, რაცხეის იმედს ხარ ჩაფრენილი და, თუ გამგები და გამგონი არ გეგულება, რაიზა ვინდა.

— კი მარა, მე არაფერს მათქმევენებთ? — იკითხა სევასტიმ, ალბათ, უფრო იმის შიშით, აგრაფინამ, ამ თავმჯდომარესთან და სტუმართან ერთად, მეც არ გადამიბროსო და ჩემს წინააღმდეგ არ განმწყოსო.

— შენ მოიცა! ამ უცხო ადამიანმა კი არა, ამდენი არც მე ვიცოდი. საქმე რომ ავწონ-დავწონოთ, ხომ უნდა ვიცოდეთ რას ვწონით? ჩემი ამბავი...

— აწონეთ, ბატონო, და დაწონეთ, მარა ჩემ ცხენთან და კვიციან გზის გაყვანას და ძროხების წველას რა ვსაქმება?!

— კვიცი არაა შენი! — ისევ ჩაიბურღულა კედლიდან პირმოუბრუნებელმა ბიჭმა.

— შენც გაჩუმდი მაქ, გიგა! — გაუწყრა თავმჯდომარე.

— ენა ჩეიცივე! — მუშტი მოუღერა დედამ და სევასტის მიუბრუნდა. — რავა არ ვსაქმება. აბა, ამ ხალხმა არ უნდა იცოდეს, რა უნდოდა ამ არგასაზარელს შენ ცხენთან და კვიციან?

— კვიცი არაა მაგის!

— ენა არ ამომავლეციო, ბიჭო შენ, პირიდან!

— კაი, ბატონო, მასე იყოს, ოღონდა სამართალი გამიჩინეთ! — ხვეწნაზე გადავიდა სევასტი. — მე ჩემი დამანებეთ, თქვენი თქვენ დმერთმა მოგანძროთ.

— მერე, მერე, აგრაფინა, ის ცხენი?...

— ცხენი, მარტო მაგის კი არა, თუ კიდო ვინმეს ყავს, ბალახზეა გაშობილი, თავლა ჩვენ არ ვიცით და საჭინობო, დადის ხეთის ანაბარა. ღერი ითვა პატრონის არ იცის და ტარო სიმილი... სიმილი ჰო, თუ დაჭირვა უნდათ, წელიწადში ერთი-ორჯელ, მაშინ შორიდან დაანახებენ...

— აბა, ცხენის საძლომი ქერი და სიმილი სადაა! — ველარ დამაგრდა სკამზე სევასტი.

— მოიცა! — აღშფოთდა თავმჯდომარე და ქერივს აუხსნა, — არ ვინდა ასე კაკალ-კაკალა-მეთქი, ხო გითხარი?

— კი, რავა არა.

— ჰოდა, იმამინდელ ამბავზე ილაპარაკე. იმ ღამეს რა მოხდა...

— დაქცევის და დამხობის ღამე იყო მაინც ი ღამე! ჩამევიდა ცა ფეხათ, ამოტყდა ქარიც და ქარბორბალიც. მაგიტოა, არევის რომ არც ფერმა უნდა და არც სოფელი. ვინ გეიგებს, რა გაჭირვება ადგას აქოურ ადამიანს.

— აგრაფინა, ახლა, ამ ხალხს უნდა

ჩვენ რა გეიჭირს და გვიღონს? — იკითხა, ხმადაბლა, მომჩივანმა.

— თუ მაცილი ვიტყვი და, თვარა მთოდეი შენ და იძახე: ჩემი ცხენი, ვერცეციც, ცაც და ქვეყანაც... — მითქმევეს ქვეყანაზე.
— კი მარა, რომ ვიძახი... ცხენი არ იყო ჩემი?!

— მაცილე, სევასტი, შენი იყო და ქეც მიყიდე სამხეცეს ხორცათ...

— რა სამხეცეები და ზოოპარკები გაქვთ, ქიშვარდი, ამ სოფელში?!. ან მე არა ვარ იქ, სადაც თავი მგონია და, ან თქვენ გეშეღავთ რაღაცა.

— არა, კაცი, — ხელი გააქნია თავმჯდომარემ. — ჩვენ, სამხეცე კი არა, ის მგელიც, ესენი რომ ამბობენ, სამი წლის წინ მოვკალით. ზოოპარკი აგერ, ჩვენს მეზობლად, ქალაქში ჩამოჰყავთ რაღაცა, პატარა ნაწილი, მარა ერთი ლომი და ერთი ვეფხვიც რომ იყოს, მშვიერი ვერ გაძლებს. ასე ყიდულობენ ჯანდრავ ცხენებს იფად და აჭმევენ.

და შეაჭამა ი წაბლა ჭაკი ნადირებს! — ჩაიბურღულა დაბოლმილმა გიგამ.

— არ მქონდა ნება, ჩემი საქონელი გამეყიდა, რავარც მიხდოდა და მომენძარა?! — წამოხტა სკამიდან ძლივს დამაგრებული მომჩივანი.


— არა! ნადირებს რაფერ შეაჭამე?! — ღრინავდა ბიჭი.

— რომ გქონდა, ხო ქენი! მარა, ჯერ მე მაცილე, შენ ხმარასწყვეტო, შენი ტლიკინი არ გამაგონო! — აგრაფინა შვილს მუშტი დაემუქრა.

— დიან, ქალბატონო, დიდი უამინდობა იყოო, ბრძანებდით.

— კი, აბა, ჩამეიქცა ქვეყანა, გამოვარდა ცას სვეტი! — ეს ძროხები ქე ჩამოვწველეთ, მარა არ ვინდა ფერმიდან ფეხის გამოდგმა? ე მიწვასახეთქიც იქაა, რა თქმა უნდა... წუთისოფელი ხო ილუბება და ილუბება, მარა ატყდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ცხენის ჭიხვინი, ენა-პირი რომ ვერ იტყვის, რაფერ გადავებითო. გულს რომ გავიხეთქავს კაციშვილს, იმნეირო! ჭიხვინი ყოველნაირი გამიგონია, მარა იმისანა გულმომწვავე, უსაშველო — არაფერი! ამას მგლის, თუ ფერმის ძაღლების ყევა და ყმული მიება. იქით ქარი ვლეჯავს და წეწავს ცას და მიწას. ცოდვის გაკითხვაა. ძალი არ გეიგდება გარეთ და არც გადენ, იქავე, კარებთან და ლაფაროებში ღრინავსო... სტულდათუთქული, გამწარებულ-გაშხამებული ცხენი ჭიხვინობს — იუდას აატრებს. ხროვა რომ ასევია, უკანალი აქვს მოჭმული, კისერში კბილები წაჭერილი და შველას ითხოვს — ამნეირ და ამაზე უარეს ვასაჭირშია... დაზუზღული მწყემსები ცეცხლთან არიან მიფიცებული, ძაფი არ გააჩნიათ მშრალი ფერმას ქე ყავს ორი ვლახა ცხენი, მარა ერთი კაჭკაშია შებმული — ჩაიში წყალს დაათრევენ და ისილორე ფეხუცას ყავს ჩაბარებული. მეორეს — ლაფშას, თვალი რომ დედამგება, ფერმის გამე დაატრინებს და იმ ღლეს, დაღამებამდე წევიდენ ცხენიან-კაციანად. სხვა, ქე გეცოდინებთ, სალაა ცხენი და ჯორი, მოვსებთ, ბატონო და გავუყუეთ. რაცხა ორი-სამი ჯანრანო და დარჩენილი და დახეტიალობენ ამ კლდე-ღრეში... და ამას რა ეცა ამ წარღვნაში ამისანა! რაა, რომ ცოცხლათ ჭამს და არ იქნა, აღარ გაათავა?! დაზაფრული ვართ ქალი და კაცი.

— სხვა ცხენები, ჯორები, მწყემსები და ძაღლები არ გვინდა, აგრაფინა, — ისევ ჩაერია თავმჯდომარე.



— იმიზა ვითხარით, რო ამის მეტმა, ამ ფენებდასანტროვის მეტმა, ფერმოდან ცხვირის გამოყოფა ვერ შეიფიქრა. ეგი აწრივდა. რა საწრივად ავიტყდა-თქვა! ვუყვარე მარა ამისან გლურჯი და ვოუტნელი იყო დაბადებული, მაგი რატო გაჩნდა ჩემს ბარობაზე... იშვირა ე დასამონდილებელი ფეხი და ამ მორეთ მოსვლაში არ გავარდა?! ვიკვილე და გამოვენთე. მამამისის ფარანი ჭონდა, საწყალი, დამე რო მოვდიოდით, წაწყვიდილი ამდენში გზას ინათებდა. იგი უჭირავს ხელში და გარბის. გარბის და მივხედვ. ცხენს რო ამისანა დღეს აყენებს, ამას ხეირს დაყრის? ათი წლის იყო მაშინ, მეტის კი არა, რატო შეიყარა იმ ხანობამდე. ვიცი, რაც უნდა ვუძახო, რაღა გზას დაადა, არ დაბრუნდებდა და უნდა ვზრიო. აპა, მგელს და ნადირს რავე შევაჭამო!

— გიგა, თავი თუ არა, დედა მაინც არ უნდა შეიცოდო?! — წარსული წარსულია, მაგრამ სამომავლოდაც წინ იხედება თავმჯდომარე, რომ სოფელმა ერთმანეთზე ზრუნვა და უანგარო სიყვარული არ დაკარგოს.

— ცხენი უფრო ცოდვა იყო, ყველაზე ცოდვა იყო! — ებურდღულება კედელს ბიჭი.

— ცოდვა-მადლის გამჩენი ვაგიწყრა შენი! — შეუქაჩანა შვილს აგრაფინამ და ჩვენ მოგვიბრუნდა. — ჭიხვინობს კი არა, შემცხადებული ქალივით კი ვა ცხენი. მიწაზე ჩვენ კი არა, ცაზე ღმერთს არ დედგომება მისი ცოდვით. გარბის ე უქუღმა სარები და მივხედვ, მე არ გადასარჩენი. სადა ან გზა, ან კვალი, მიიჭყალს და მეწყევრს ქვეყნიერება... და, წაბლის ტყესთან, აქით რო უნდა ჩამოუხვიო, სანამდი ჩამოუხვოდე, ზევით, შემალგებაზე ოთხი ძირი ცაცხვია. მაგი ვინ არ იცის, იმათი ჩერო ფერმის ნახირს ყოფნის. ერთი სამწველივითა და ქეა მუცელგამოვლევოლა-გამოვლევოლა. გარშემო ჩიქვანია და მიღობრიცა ალაგალაგ. იქით ოუხვია ამ სამიწემ, ავხდიე მეც, აპა სად წკვარამში გადავარდე? აგერ, ამ ცაცხვებში კი ვა ცხენი მშობიარე ქალივით. უკაცრავად კი ვარ, მარა... მაინც ასე ჭირდა იმ შავლიანს, მივცვივდი, მიანათა, ამ თვალბაბუნებლებულმა, იმ ხეების ძირებს... აგერ, იმ უშველებელ, გამოფუტურობულ ცაცხვს მიღვამია ჭაკი და შიგნით, წამოყულებული სამწველივით ღრუში, კვიცია გამზარებული. ადგას თავზე აწიოვებული დედა. სულ ახალი ამბავია, ქარი რავე აყენებს, თვარა, ორთქლი ადის, დანაბადლობარში ფხარკალობს. ჩვენს გამოჩენა და ცხენის დაცემა ერთი იყო. როგორც მალალი ბალახი დაგითიბავს, ისე ჩაშვავდა და დადვა ზავი. განძრევის თავი სადაა, რაც ჩვენამდე იომა: ჯერ მშობიარობით, მე-რე მგლის შიშით, — ჭაჩაჩი გამოუგლეჯია და სისხლს თქეში ბანს. დედომიწაზე იმნიერი საცოდავი და საშველის მავედრებელი არაფერი უნახავს ჩემ დასაფხებ თვალებს! ამ გულგასანობს კი არა, მეც რა გული მიზამდა იქ დამეგდო, მარა ამ გალორწილი კვიცის აყვანა და ფერმამდე თრევა ვის შოუძლია! არადა, ჭაკი აქიდან ამდგომი აღარა. ეტყობა, მუცელი რო ატკივდა, მგელიც, მანდამინც, მაშინ ოუტყდა. ასეა, რო გიჭირს, მავნე მაშინ გეცემა. უპატრონო ბედკრულმა, ეტყობა, აქით, ცაცხვებს მოაშველა.

— ჰო, კაი, აგრაფინა, გასაგებია. იმ უბედურებაში ცხენიც და კვიციც გადაარჩინეთ. — თავმჯდომარე ადგა, ბოლოს

და ბოლოს, მაგიდა მიატოვა და ოთახში მძიმე-მძიმე დადგა.

ძალიან მინდა ამ ქალმა კიდევ ილაპარაკოს, მაგრამ მთავრობა მეტს საჭიროდ არ თვლის და ჩემი ცნობისმოყვარეობისთვის ვის ცხელა.

— ნუ მკითხავ, ბატონო, ნუ! რაც ჩვენ იმ დამეს დღე გადაგვწყდა, თქვენს მეტრს და ორგულს ნუ აჩვენებს.

— ხელავ, სევასტი? — ერთი კი აღმოხდა ქიშვარდის და ენას კბილი დაატჭირა, მაგრამ სევასტი მაშინვე ფეხზე წამოიჭრა.

— კი, ბატონო, მე იქ არ ვიყავი და შენ, არც ეს პატიოსანი... მარა ვხედავ...

— კი, კი, კი, თვალნათლივ ვხედავთ, — კვიცი დავუყარი. — ამ ამბავს წყალი არ გაუვა, ყველაფერი ჭეშმარიტებაა! — ის იყო, რომ ბიჭმა აქეთ პირველად მოიხვდა, მანამდე არ დავუხანხივარ, მაგრამ მაშინვე პირი მიიბრუნა. ძილნაკლული, მტაცებლის მოდარაჟე, ბრაზიანი მხერა ჭქონდა: ასი ბატკინდან რომ არც ერთის დათმობას არ აპირებს.

— კი, ბატონო, მადლობელი, დიდი, უშველებელი... მარა, ამიტომ აღარაა ცხენი ჩემი და... —

— კვიცი არა! — ვაწყვეტინა გიგამ.

— აპა, შენია, შე ცინგლიანო?!

— არც ჩემი, მარა არც შენი!

— არავინაა კაცი გამკითხავი?! — აღმოხდა სევასტის. — ცხენი თუ ჩემია, კვიცი უპატრონო? ამდენ ხანს ამ მღვალაყის მეგონა... ახლა, თურმე, არც მისი ყოფილა.

— ეს მეც ვამიკვირდა, გიგას ორივე რომ დაემისებინა, არ დამენახებოდა, მაგრამ „არც ჩემი და არც შენიო“, ამის ვერაფერი ვავიგე. სკამი თან წავიდე და ბიჭის ახლოს დავვქეცი.

— ვატყვობ, შენ, უსამართლოდ არაფერს ინდობ... მე რომ მართლა ვინმემ მკითხოს, კვიცი ხომ შენია და შენია, რაკი იგი უშენოდ იმდამით დაღუპული იყო, მაგრამ, თუ არც პატრონისა და არც შენი, მაშინ ვისია?

— მაგი რას გვიგებს, — თავი ვაქანია გიგამ და ცერით ისევ კედელს დაუწყობურდა.

— იქნებ მეც ვამიჭირდეს, მაგრამ აგერ ქიშვარდია, თქვენი თავმჯდომარე, ამას მეტი გამოცდილება აქვს. აქაურ სასწორსამართალს მაგი ადგენს და, ალბათ, იცის.

— ვერც მაგი!

— ენა ჩეიცივე, ბიჭო! — ქიშვარდის ძვირი აღარ დაანება დედამ.

— ახლა, შე კაი დედამამისშვილო, რა ამისთანა, რომ ამქვეყნად არავის არ ეყუარება და მართო შენ იცი?!

— ე, მაგი ივარგებს კაციშვილათ? — მხრები უმიმედოდ აიწურა სევასტის.

— არა, ამიტომ კაციშვილად როგორ არ ივარგებს... — აღარ დავანებე მომჩივანს. — ბავშვი, ვინც იმ დამეს ის ჩაიღინა, რაც აგერ, დედამისმა ძალიან დამაჯერებლად გვიამბო, იმის კაცურ კაცობაში ეჭვის შეტანა მკრეხელობაა, მაგრამ კვიცი... ამჯერად ისიც ცხენი, გიგამ მაინც უნდა გვითხრას ვისია.

— ვიტყვი და, არავინ დაიჯერებს!

— თუ სიტყვას არ ენდობი, დავიფიცებ, რომ დაგიჯერებ.

— კვიცი იმ ცაცხვების იყო და ცხენიც მისია.

— ცაცხვების?! — მეც ისე დავბენი, ფიციც მაშინვე გტეხე, რაკი ყველაფერს მოველოდი და თუ ხეებს ცხენი შეიძლება ოღობა ჰყოლოდათ — ამას არა.

— ცაცხვების?! — შეიოცა ქიშვარდი-მაც.

— რატო ამბობს, მაგ ენაგასაბლიკვებელი, თუ იცი?.. მე მაქალკოვანთა მგონია ენა მაინც დედამ იცის... წახანკრებულად ვითხარით, ისედაც ვადაგვკანშეთ თავი... რო გიჭირს, ლაპარაკი გიშველის, გგონია და წვირილ-წვირილიც არ გინდა გამოგჩეს.

— არა, ქალბატონო, ნუ ბოდიშობთ, თქვენ ძალიან კარგად ილაპარაკეთ! აქ არავითარი წვირილმანების გამოტოვება არ შეიძლება, უმისოდ, კაცი კი არა, ღმერთიც ვერაფერს გაიგებს.

— კაი, ბატონო, თუ თავი არ მოგაძულეთ და ჩემი ამდენი ხანის რიტინის მერე კილო ვოუძლებთ, გეტყვიო... ჩვენ რო იმ ადგილზე მივიდით, კვიცი არ დავგებთოდა, რო ჭაკი იმ გამოფუტურობულ ცაცხვს უკანალით არ მიღვამოდა და ისე არ ეშვა. ახალკვიცმოგებული ფაშატი ვერანაირად ვერ დეიცავდა მგლისაგან, ხეებს რო არ ეპატრონათ. თვითონ, ქაჩაჩის გამოვლეჯის ფასად, კი იჯახირა ჩვენ გამოჩენამდე, მარა მართო კი არ იყო, ოთხი ძირი ცაცხვი გვერდში უდგა. ვინ გვიგონა ხეების ცხენი. ეს ჭკუაგასანობი, რას ამბობს კი აღარ იცის, მარა იმის თქმა უნდა: ცაცხვებმა დეიცვეს ნადირიდან და იმათი... მერეც ხშირათ იღვა იმ ხეების ძირებში ჭაკი. გონია ლამეებს სულ იქ ათედა, მგელი კვიციან ცხენს იოლად არ მეშვება, თან ფერმაც არაა შორს და ჩვენც იქ ვეგულებოდით. ფაშატმა იცოდა, დედის გული რაა, ამას კაცი რაფერ გვიგებს. იმ უშველებელ ღრუში რო კვიცს ჩააყენებდა და თავით მიდგებოდა კოჭლი ჯახრაკი, უკნიდან ნადირს ცალი ფეხითაც მოიგერიებდა. ხეები, იმგენის: თავლაც იყო, სახლიც, ციხე-გალავანიც... და, ამის თქმა უნდა, მაგ ენაგასაბლიკვებელს.

— წავალ, მე, მაშინ, — წამოდგა სევასტი. — მარა, იმ კაცს რა ვუთხრა, დღეს-ხვალ რო მომაკითხავს?

— რომელ კაცს?!. ჰო, ჰო... — მოაგონდა ქიშვარდის და ამ გახსენებამ მთლად გაუფუჭა გუნება.

— პასუხი უნდა იმ ადამიანს!

— დოუბრუნე ფული! — კერპად თქვა ბიჭმა. — უთხარო, ჩემი არ იყო. მოპარული მოგყიდე-თქვა!

— ვინ მიყიდა მოპარული. შე მართლა ავხავკო! მე?! შე ოხრის შვილო, იმ კაცს ნაყიდი ცხენი ოთხჯერ მოპარე და ჩამოიყვანე რაა, მართლა და მართლა, ობლად რომაა და... მიცვალებულს რომ პატივს ვცემთ. იმას ნიშნავს, ამ ხნის კაცი, ბაღნებმა ამიგლონ და თვალეში მათურთხონ?! — სევასტიმ სკამი მხაურით დადგა და კარისკენ წავიდა. — მანდამინც მილიციამი და სასამართლოში ვიარო?!

— ბიჭო, შე არგასაჩენო და არგადასარჩენო, მანდამინც ციხე და ბორკილი გინდა?

— კვიცი მაგისი არ ყოფილა და არც ეს ცხენია, ცაცხვებისა.

— ცაცხვებს რათ უნდა. ბიჭო, ცხენი?! — მე რომ ენა ჩამიყვარდა, ქიშვარდიმ ვააგრძელა გიგასთან მოლაპარაკება.

— უნდათ თუ არ უნდათ, იმათია. მაგან ოთხი თვის მერე გვიგო, წაბლას რო კვიცი ეყოლა. არ იცოდა... ბებერი ჭაკი იყო და თუ იმაკებდა, არ ეგონა! — მიაძახა გიგამ კარებში გახილულს.

— აგერ ვიქნები, ქიშვარდი, აივანზე და ან გამომტანეთ განჩენი, ანდა ვამი-

სამართლებელს
პარლამენტის
პრეზიუმის
გიგლიოთეკა

შვით ჩემ თავს არ დევნიებ, ცხენს პატრონი ყავს და პასუხს მთხოვს.

სევასტიმ კარი რომ მიიხურა, მე, მხრებაწურული, ხან ერთს მივაჩერდი, ხან მეორეს და მესამეს:

— ვინ ითხოვს პასუხს?

— ვინც მაგისგან ცხენი იყიდა, — ვითომ ამიხსნა, თვითონაც უთავბოლოდ დაბნეულმა თავმჯდომარემ. მერა მიჭირდა, შემძლო ჩემი გულისთქმის პატრონი დავრჩენილიყავი. მთავრობას მართლმსაჯულებდა თხოვდნენ და სამართალი უნდა დაედგინა.

— კი, ამათ... იმლამინდელი გადარჩენის გარდა, მერეც ბევრი ამაგი აქვთ იმ... ჯერ კვიცზე და, მერე ცხენზე. ამ ბიჭის მეტს, მგონი, ზურგზე არავის იჯენდა.

— ქიშვარდი ბატონო! — ისევ ავრათინა ჩაერია. — ამ ოხერსა და მულრეგს, კი არ ვამართლებ, მარა რაც იყო, ხო უნდა ითქვას. ამას იქით ეს ამბავი რომ გვეიდეს, დედა-შვილს, ორივეს დაგვიჭირავენ და ციხეში ჩავგვალბობენ.

— არა, ქალბატონო, არ გავა. აქედან, თქვენს საზიანოდ, სიტყვას არავინ გაიტანს!.. — შვილისა არ იყოს, დედისთვისაც ფიცი მინდობდა მიმეცა, მაგრამ იმან შემეკავა: ავრათინამაც ისეთი არაფერი თქვას, მაშინვე არ გამატეხინოს-მეთქი.

— აბა, იცოდე, ქიშვარდი, ჭაკს, შიშზე იყო თუ სიბერით ჭირდა, რძე არ შეეჭნა. რაცხა, ცოტა... კვიცი რომ არც მოკვდა და არც მორჩა, გაძვალტყავებულები, ძაბუნი, არც იზრდებოდა და აღარც არაფერი... ეკი-და დედას ძუძუზე, ძლივს იდგა იმოდენა ფეხებზე და სხვილ მუხლებზე, გამწლეული, ფენთებჩაცვნილი, უმწიფარი ძვლების საცოდაობა. ეს არდასაცლებელი... გვიგებს ამ ამბავს ვინმე და გავგაცემბობენ. ფერმაში ხაორებს... რავა გავამხილო! რძეს ვპარავდით. მოპარავ იყო, აბა რა ქვია ამას! მერე, ეს გასაჭრობი, ჩუმად იმ ცაცხვებში მიარბენინებდა საწოვრიანი ბოთლით და იმ ღრუში ისე ქონდა მოწყობილი, ჩამოუკიდებდა. ი, ჯიშად გასაწყვეტი, კვიციც ცაცხვებს დედასავით არ შორდებოდა. ფულუროში თავს შერგავდა, წოვდა და ნამეხები ძუძუს აქიცინებდა. მარა დედა. ა, რძეგამშრალი, გულდათუთქული ფაშატი ამ გასაქრობს რომ მოაჩერდებოდა... ჰო, ჯერ თავს გაიქნევა და მაღლა აიხედავდა, არ ვიცი მაღლა ღმერთს უხდიდა მაღლობას, მერე ქვევით, ამისკენ გულიდან ამოღებული გურგურით შემოგახიროდებოდა. რავა გეკადრებათ, ბატონო, აღამიანი ამბავს ისე რავა დავიფასებ. ნახევარი წელიწადი მაინც ვუყუფდით ხაორების წილს და ის კი არა, პატარაპატარა, ფერმის ჩასაბარებელსაც ქე დავაკელით. მეც ბრალში ვარ და მქვეყნის დამაქცივარიც. მარა, თელათ მართალი, თუ ვინდათ, ესა.

— რძე, ჰო, რძე არა! მაგრამ აღამიანიც უნდა ვიყვარდეს, ცხოველიც და...

— ქიშვარდი ბატონო, უყვარდა კი არა, ძალივით უკან დაზღვედა... ჭაკს მიატუებდა, აგერ, სოფლის ბოლოში დახვდებოდა, წინ და უკან დაკუნტრუშობდა. ე, არგასახარელი, სულ ქეა უქმურზე შემეხდარი და გუჭლუნობს... დეინახავდა კვიცს და, ჩამობნელებული ცა გეენსებოდა. რაცხენაირი, ჯადონაჭამს გვედენ. ჩვენ ჯერ ისედაც გვიჭირდა და მერე, მამამისმა რომ გავგაპარტახა, რა გავგანთა, ბევრი დააკდა. რა მექნა, მე თვალდასაკლებს, სად მქონდა. მაგის ველოსიპედების საყიდელი ფულები. სანამდ ი კვიცი დედადებოდა, შემტის გოგორას დაარბენიებდა დალუ-

ხული სინით და იმას დაზღვედა. მაგინა განთა ი, ოხრის საქონელი, მაგი რატო გოუჩთა დედამის. კილო ილბალი, სევასტის არ ეყურება.

— ქალბატონო, მჯერა, კვიცი ლამაზი ფერისაც იქნებოდა, დედაზე უკეთესიც.

— ულამაზო კვიცი ვის გოუგონია! — არ მაცალა ავრათინამ, რაკი მთავარი დამავიწყდა, არ მითქვამსო. — მარა, ხორცი რომ შეიბა, სააღდომო კვერცხივით ვახთა. იმისანა საყურებელი შეიქნა, იმისანა, რა დედამ შობდა, იტყოდნი! რცხილის შემამ მოთბო-მოლოჭური კვამლი იცის, იმფერი დადგა. მოჭირებულები, ან მუქი კი არა, გაცრეცილი. პროკოფიმ რომ თვალები დამიფსო, იმ გორაზე გამთენიის ხანს რიბირაბო ბური იცის, იმ ბურუსიდან იბადებოდა, გეგონებოდა აღამიანს, და დედას კი არა — რიურაჟის ოხშივარს ვავდა დედასავით. იქიდან რომ იყურებოდა ნიგვზის მურაბის ნაირი თვალვით, იმ ბურში... ბურუსში გარეული... რაფერ ვთქვა, რომ გვივთო.

— ძალიან ვასაგებად ამბობთ, რომ მთის ნისლისფერი იყო.

— მარტო ფერი კი არა, თვითონაც ის იყო...

— ნისლი?!

— ჰო, როგორც რძეში კვეთი გაგირევიან, იცი რომ ჩოლურივ, თვარა ხო არ ჩანს...

— ნისლის ნაწილი, ნისლს შერწყმული?

— დიახ, გათქვეფილი... და რომ გიყურებდა, მთელი გორის ტოლა კვიცი გიყურებდა. ნისლიდან კი არ გამოდიოდა, მოდიოდა და მოქონდა... ამ დროს ჩიტებსაც ხო ვერ ხედავ, მარა გათენების ჟრიაში აქვენ ატეხილი და ეს ათასნაირი გალობაც, ამ, შენკენ წამოსულ კვიცს მოაქ, გონია. როცხა მოთენდებოდა და ბუნდი მაღლა წვევიდოდა, ძირს კვიცი რჩებოდა ნისლის ნაგლეჯივით, კარქათ განეჩილი მატყლის ფთილასავით; მატყლის მეტი რა მიჩეჩია, მაგი არ ვიცი? მარა გიკვირდა — დედას რატო მოწყდა და ზეით-ზეით არ აყვავო!.. ამ მაკვარანცხის კაცურ კაცობას არ მომასწროს ღმერთმა, მის დაბადებას რომ არ დაესწრებოდი, თუ ვინმე დამაჭერებდა, რომ იმ ჩახრაკი ჭაკის ნაშობი იყო და არა ჩემი პროკოფის დამლუბველი მთის ჯანდის ღვიძლი; დილა-უთენია რომ იმისი სულივით დაწრიალობს, ფათქუნობს, მაღლა-მაღლა წასასვლელი რომ და ეს ცოდილი მიწა არ ეთობა. რავა გამოვიჩინეჩიროდი და ოურ-ლოურივე ერთმანეთში. რაცხა-რაცხა, აღამიანს, გუნებაში რომ ვიდევის, ივიც მოვეყვი!

— მოყევით, მოყევით, იწამეთ ღმერთი! — შევევედრე, მაგრამ თავმჯდომარემ საათს დახედა, თავი გადააქნია:

— ნისლი და ბური კი, მაგრამ მერე, მერე?

— მერე, ვეი დილით იყო და საღამოს, დედა-შვილიანა მოგვაცილებდნენ დედა-შვილს: ყორფელი რაფერ ვთქვა, სირცხვილია მეტი რომ არაფერი. მერე, ერთი წლის არ იყო, რომ ზურგზე შეისვა. გავიგონიათ, ურა კვიცს ბოვშისთვის ასე ზურგი მიეშვიროს? მაგი, მაგ უკუღმა სარები, ახლა იმისთანა უკუღმართი, ეშმაკს ვახედნის, თვარა მაშინ, სამი წლის წინ, ან მაგან რა იცოდა რა იყო ცხენი და ან იმან — მხედნელი. თვითან, თვითან კვიცმა არ მეეშვა. ახლა, ამას კი არ დამიჭრებთ... რაფერ არ მეეშვა და, გვერდიდან არ შორდებოდა და აფხანდა კისერს. მერე, რომ წამეჩხარდა, დოუღგებოდა წინ, დალუნავდა თავს და, უკაცრა-

ვად მარა, თავს ლაჭებში უყუფდა... არ დეიჭერებთ და მიტოვებთ არ მინდობდა ამის თქმა...

— რალაც, ანდაგ ი, ექნებოდა... ვგვარი რალაც, არ აძლებდა არ ყოფილიყო, — იმწუთში მკარდის სულ დაავიწყდა მაგიდაც, თანამდებობაც და მართლმსაჯულებაც.

— ახლა, კილო... რავა გავიშვრეთ სისხლი, ამ სისხლგასაშრობის გამოისობით! ამ ბოლოს, რა თქვა ამ ენავასანობმა, თელათ ვადიერევი, მარა, მეც რომ მეწინაა?! არ ვიცი, ალბათ, მეც გამომამუტერა, თუ რა მჭირს. სევასტიმ რომ გაყიდა და წეიყვანეს, მას მერე... დეიჩემა და დეიჩემა: ჩიტები აღარ გალობენო! ვადევირეი, ჭკუა დაკარქა, ან დაყრუვდა-თქვა, ნამეტანი დიდი ზაფრა ძნელია, რალა მეშველებდა-თქვა. მარა, მე ყურადმღგარსაც რომ მეგონა, იმ ცაცხვებში და იმ წაბლნარშიც, გალობა შეწყდა?! წასულა მერე, მე გამიმხელდა და არ შევიშლებოდი! მარა რას გამანდობდა... მამიდაჩემთან მივდივარო, რა ვიცი, მამიდა ერთი კი არა, სამი ყავს და სად და რომელთან მიქებნა. ორი დღის მერე გამოჩნდა და იმ საღამოს, აგერ, სოფლის თავში არ დავგახედა ეს ჩვენი ალმასა?.. უი, „ჩვენი“ ვთქვი, ხო?! არ გვიგონოს სევასტიმ... ალმასას და ბრილიანტას უძახოდა და უძახის. რავა, არ იყო და არა ალმასი და ბრილიანტის თვალვით, თუ?!. მე — დედა, მაგავე და მაგის დედაზე, ქვრივი და ოხერი, ვადამკვლარი ვარ, ქე იცის, მაგას არ აცოდინა ჩემმა გამჩენმა არაფერი, მარა, საქმე საქმეზე თუ მიდგა, ღმერთმა ნუ ქნას, თვარა, ჩვენ ორში იმ ცხენს ეიჩევის. არ შოუძლია უმისოდ, თვარა, რავა დევიჭერო მართლა ასე მოძულებულ ვყავარ?

— მართლა ასეა, გიგა, დედას ვიჩევიანა? — ჩაულაპარავა ოთანში მძიმედ მობაკუნე თავმჯდომარემ.

— კი! — ჯიუტად დაეთანხმა, მაგრამ დედამის თითქოს გაუხარდა, რომ სიტყვა არ გაუწბილა.

— ა, კი არ მალავს, მაგი ჩავმაღე შავს მიწაში!


— მერე? ახლა, ახლა რა ხდება? ჩამოიყვანა ცხენი. მერე?

— მერე?! — გაუკვირდა ქიშვარდის ჩემი სიბრიყვე. — მერე, ჩამოვა პატრონი, წაიყვანს. ჯერ იმის დაჭერას ნახევარი სოფელი ჭირდება და მერე, იმ კაცის ზედ ამხედრებას — მთელი დავიდარაბა, როგორც იქნება მოაშორებს აქაურობას... წავა ეს, უღარაჯებს, სულ სახლში ხო ვერ დააბამ ცხენს, რით გინდა შენახვა? ეზოშიც რომ ვაბას, მიეპარება, ახსნის და, მე შენ გეტყვი, ზურგზე არ შეისვამს, ან უნაგირი ჭირდება და მოსართავი. ახლა, მგონი, ამ ბოლო დროს, ვადმოუვლია გზაში ის კაცი და თვითონ დაბრუნებულა შეკაზმული.

— იქაა მაგათი ყორიფელი, ფერმაში, მივიდენ და წეილონ! — მკაცრად თქვა გიგამ.

— ქალბატონო, ჩიტების საქმე როგორაა, გალობენ? — ოლონდ ამ ქალს კიდევ ელაპარაკა და არ ვიცი რას არ ვადავიზი-დილი.

— აბა, რავარც დაბრუნდება ის ჩვენი მკვლელი, რომ არ დევინახო, იმწამას ვიცი, ერთი ჟივილ-ხივილია ტყეში! და ცაცხვები ხო თითვანაც ვალობენ... ასეა, ჩემო ბატონო, და რავარცხა გინდათ, ისე ჩამომართვიო.



— ჰო, კი ახლა, აგრაფინა!

ქვრივმა გულხელი დაიკრიფა და შემოგვაჩერდა. მე ვინ რას მკითხავდა და თვალები თავმჯდომარეს მივაცივე. ბიჭი ცერით ისევ კედელს ბურღავდა.

— მოკიდე მაგ ბოვშს ხელი, წიყვანე და წადი!

— თუ გამატან, აბა რას ვიზამ!..

— გატან და წადი, მოაშორე აქედან!

— უიმე, შენზე უნდა ვილოცო, მარა იმ ცხენს...

— ცხენი?!

— ცხენი ბატონო ქიშვარდი...

— არ ვიცი, არ ვიცი... ცხენის არაფერი არ ვიცი!

— სულ არაფერი?!

— არაფერი, არავითარი!

— ცაცხვებისა... მთისა... ჩიტებისა... და კილო: — აჯუჯუჯურდა გიგა, — ხო ვთქვი არავინ დეიჯერებს-თქვა!

— შენ რო ჰკუა გქონდეს, რა პატივი გცეს და, ბიჭო, კილო ხმას იღებ?! — მივარდა შვილს, წაუქიმიწა და ისევ თავმჯდომარეს მიუბრუნდა:

— აბა, ასე?!

— წადი, რომ გელაპარაკები, ქალო, მე შენ! მეტი არაფერი ვიცი. ეგერ ზის ის კაცი და უცდის განაჩენს. წადი, წადი, წადი!

— ასე, ამნეირათ წვეიდე?!

— აბა, ქალო, აქ აპირებ დარჩენას, საბჭოში?!

— კარკი, ბატონო, ა, ნახვამდის და თქვენთან დიდი ბოდიში და ნამეტანი დიდი მადლობა, — დამემშვიდობა აგრაფინა, ბიჭს ქორივით ჩააფრინდა და ჯიკაჯიკავით კარისკენ წაიყვანა.

— სევასტი, შენ კიდევ იყავი მაქანა ერთხანს! — გასძახა ქიშვარდიმ და კარი მაგრად მიხურა.

ორივეს დიდ ხანს ხმა არ ამოგვიღია: მე, იქვე დამჯდარს, სადაც ვიყავი და თავმჯდომარეს — მძიმე-მძიმედ მოსიარულეს. პირველად ვიყავი ჩემს სიცოცხლეში ბედნიერი, რომ მე არავინ მკითხავდა სამართალს და მართლმსაჯულებას. ქიშვარდის ამბავი კი მართლა არ მცოდნია და ახლა, ასე გვიან გავიგე.

თავმჯდომარემ ბოლოს თავი გადააქნა-გადმოაქნია, შებრუნდა და ტიხრის კარს მიადგა, ერთხანს იქ შეჩერდა, მერე ბეჭითად შეაღო, გავიდა. ერთხანს კარადის კარები თუ უჯრები ახრივინა და უშველებელი სქელი დავთარი გამოათრია, მაგიდასთან მივიდა, დაჯდა, გადაშალა, ფურცლა, ფურცლა. მერე ერთბაშად თითი კინალამ იმ სისქე ქაღალდებში გაუყარა. მკაცრად თქვა:


— ა, ბატონო, აგერ შავით თეთრზე წერია: ცხენი სევასტისა!

მაშინვე წამოვვარდი და ისე მივირბინე, ვითომ თავმჯდომარეს მოულოდნელი რამ ეთქვას და არაფრით არ შეიძლებოდა წერებულიყო ის, რაც მან გამოაცხადა.

— კი, ასეა! — აღმომხდა უმწეოდ.

— არა, კაცო, ასე, მართლა ჩვენი ნება ხომ არაა. საქონელი პატრონისაა. ბიჭს, დედამისს, ხეებსა და ჩიტებს ცხენს ვინ მისცემს...

ვერაფერი ვერ ვუთხარი. სხვანაირ განაჩენს, აჭაური საბჭოს თავმჯდომარე კი არა, ალბათ, სოლომონ ბრძენის მართლმსაჯულებაც ვერ გამოიტანდა.



გაერთოვნება

აკაკი შანიძემ სახელოვნად განვლო საუკუნოვანი ღრმაშინაარსიანი ცხოვრების გზა და უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა დაუტოვა მშობელ ხალხს.

იგი სიცოცხლეშივე მრავალგზის ეზიარა უკვდავებას, 1987 წლის 26 თებერვალს კი რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ, მისმა მრავალრიცხოვანმა საბჭოთა და საზღვარგარეთელმა მოწაფეებმა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნეს სწავლების 100 წლის იუბილე. სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა ამ დიდი საიუბილეო თარიღის აღნიშვნით გამოწვეული სიხარული.

1987 წლის 29 მარტს სამუდამოდ წავიდა ჩვენგან მეცნიერების პატრიარქი და შეუერთდა მარადისობას. 2 აპრილს ქართველმა ხალხმა ღრმა მწუხარებით მიაბარა მშობელ მიწას თავისი უკვდავი შვილის აკაკი შანიძის ნეშტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამგლოვიაროდ მორთულ დარბაზში გამოჩინილ მეცნიერს გამოეთხოვნენ თბილისელები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, ახალგაზრდები.

დიდ მეცნიერთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ ამხანაგები ქ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე.

ბრძენ მასწავლებელსა და დიდ მამულიშვილს უკანასკნელად გამოემშვიდობნენ უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ამაღლობელი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ჯიბლაძე, აკადემიკოსი თ. გამურელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ჯიქია, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი გ. ჯაუჯანი, აფხაზეთის უნივერსიტეტის პრორექტორი ო. დაშენია, სამტრედიის რაიონის სოფელ ნოდის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. კუტალაძე, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი მ. ბაბუხაძე.

სამგლოვიარო მიტინგზე წაიკითხეს სამძიმრის დებულები, მათ შორის იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის დებუშა. დებუშები მოვიდა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან. მოკავშირე რესპუბლიკებიდან, აგრეთვე ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ბელგიაიდან, შვეიცარიიდან და სხვა ქვეყნებიდან.



რაკის რეალურ სამყაროში. აირიხის კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში კამპოშანესმა მსგე განაცხადა, არაბთა გაერთიანებულ სფეროთქმულ სადაც უკანასკნელი ოლიმპიადის ჩატარება მოკლებულ უმდიდრესი პიროვნება, ფიშერის ნებნსმერ ფინანსურ მოთხოვნას რომ დააკმაყოფილებს! დიას! მაგრამ განა აღრინდელ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას კი ვინმე გაუბოლდა?

ერთი სიტყვით, მდგომარეობა დღესაც უცვლელია.

ჩვენ ვიცით, თუ რა ხენით დაავადდა მორფი — დევნის მანიით. მთელმა მსოფლიომ იცის, რა ხნულუბაც შეეყარა ფიშერს. ამბობენ ეს შიში არისო — თუნდაც ერთი პარტიის წაგების დაუთრგუნავი შიში.

გივი გამრქაელი



ისტორია მეორდება ანუ ფიშერს მორფი გაუკეთეს?

ხვა, რომ ეს უმაწვილი სულ მალე აღარც დასჯერდებოდა პრეტენდენტობას. რაც შეეხება მორფის ტრიუმფს, იგი ფიშერმა 1971-72 წლებში გაიმეორა, როდესაც ჯერ მშრალი ანგარიშით სძლია ტაიმანოვს და ლარსენს, შემდეგ, პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში აშკარა უპირატესობით დაჯაბნა პეტროსიანი, ხოლო მომდევნო ციკლში ზუსტად ასეთივე გამანადგურებელი უპირატესობით მოუგო მსოფლიო ჩემპიონ სპასკის.

ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ვახდა თუ არა მსოფლიო ჩემპიონი, ფიშერმა მორფის კვალად მიატოვა ჭადრაკი და, როგორც ჩანს, სამუდამოდ... ამას გვაფიქრებინებს ის ამბავი, რომ 29 წლის ამერიკელმა შეწყვიტა თამაში. მას შემდეგ წლები წლებს მისდევს, იქმნება და იფუშება მატჩებში მისი მონაწილეობის მრავალი პროექტი. უკვე არაერთმა გაზეთმა აუწყა სამყაროს, რომ ფიშერი სადაცაა დაუბრუნდებოდა ჭადრაკს, რომ მას ამდენი და ამდენი თანხა შესთავაზეს, რომ მის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდნენ. მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა. მსოფლიოს ჩემპიონი, თითქოს, ბრაზილიელ დიდოსტატ შეკინგს უნდა შეხვედროდა, შემდეგ რომელიმე ამერიკელ მოჭადრაკეს. 1975 წელს ფიშერმა ფიშერს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა, თუმცა, საჭადრაკო პრესა კვლავინდებურად ბევრს წერდა „სასადენელ განდევნილზე“. შეიქმნა ახალი პროექტები ჯერ გლიგორიჩთან (ფიშერი ჩამოვიდა კიდევ ბელგრადში), შემდეგ ტიმანთან შეხვედრის თაობაზე. სამწუხაროდ, არც ამ მატჩებს ეწერათ განხორციელება. ფიშერი კი თავის თავს კვლავ მსოფლიო ჩემპიონს უწოდებდა და ითხოვდა პირადად მისადმი გაგზავნილ წერილებშიც ასე მიემართათ.

ფიშერის განდგომიდან უკვე 15 წელი გავიდა. ფიშერს პრეზიდენტმა კამპოშანესმა, როდესაც მმართველობის ვადა გაუვიდა, საჯაროდ განაცხადა, თუკი მას კვლავ აირჩევენდნენ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელად, ყველაფერს იღონებდა ფიშერის დასაბრუნებლად ჭად-

ათი საჭადრაკო ბედ-ილბალი ხაოცრად ჰგავს ერთმანეთს. პოლ მორფისთვის, ისე როგორც რობერტ ფიშერისთვისაც, ჭადრაკი მთელი ცხოვრება იყო და, ამდენად, მათი ცხოვრების გზაც ერთმანეთის მსგავსი აღმოჩნდა.

1859 წელს 22 წლის მორფიმ ევროპაში მოგზაურობის დროს იოლად დაამარცხა „ძველი კონტინენტის“ ყველა წამყვანი ოსტატი, ხოლო მისი უპირატესობა ჭადრაკის „უგვირგვინო შეფედ“ აღიარებულ ადოლფ ანდერსენთან (7 მოგება და 2 წაგება) ისეთი აშკარა იყო, რომ ამიერიდან თვით მორფი ვახდა „უგვირგვინო შეფე“.

ყველაზე უცნაური რამ შემდეგ მოხდა. მორფის კვლავინდებურად აინტერესებდა საჭადრაკო ცხოვრება, სპეციალურ ლიტერატურასაც ადევნებდა თვალ-ყურს, მაგრამ თამაშით არავისთან თამაშობდა. რიგით ოსტატებს აუცილებლად პირობად უყენებდა რაიმე ფიგურის წინასწარ მიცემას, თანაბარი ძალებით პაექრობას, აბა, რა აწრი აქვსო! განთქმულ მოჭადრაკეებთან შეხვედრაც აღარ მოხერხდა. უნგრელ კოლიშს, რომელიც, ასე ვთქვათ, მსოფლიო ელიტას მიეკუთვნებოდა, იმითმ უთხრა თამაშზე უარი, რომ მას, თურმე, უკვე ერთხელ ვაგეო სხვა მოჭადრაკესთან და, ამდენად, ისეთი ავტორიტეტი არა ჰქონდა, პირდაპირ მორფის რომ შეპაექრებოდა...

წლები გადიოდა. მორფი არავის ხვდებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, იმდროინდელ საჭადრაკო სამყაროში ისეთი სახელი ჰქონდა გავარდნილი, მსოფლიო პირველობაზე მატჩის შემოღებაც კი ყველას უხერხულად მიარჩნდა — უძლიერესი მორფი ხომ ჯერ ცოცხალი არისო!... და როცა 1884 წელს „ნიუ ორლეანელი განდევნილი“ გარდაიცვალა, დაჩქარდა სტიენიცი-ცუკერტორტის შეხვედრის (პირველი ოფიციალური მატჩისა მსოფლიო პირველობაზე) საქმე. ეს მატჩი 1888 წელს მოეწყო.

ჩვენ ვიცით, რომ მორფი დევნის მანიით იყო შეპყრობილი.

დიას, დევნის მანიით... და აი აქ, სწორედ, ერთობ საინტერესო მომენტს მივაღწევთ, რადგან, ისტორია, თურმე, ზოგჯერ ტყუპისცალივით მეორდება.

მაშ, ასე: ევროპაში მორფის მოგზაურობიდან ასი წლის შემდეგ, 1958 წელს, „ძველ კონტინენტს“ უკვე 15 წლის ამერიკელი რობერტ ჯიმზ ფიშერი ეწვია. 1959 წელს პრეტენდენტთა ტურნირში მისმა მონაწილეობამ ჭადრაკის სამყაროს ნათლად დაანა-

0. ტურბანევი 0. ცხუცხუცი

ყო და არა იყო რა, იყო ერთი ტუტუცი. დიდხანს უღარდელად ცხოვრობდა. მაგრამ მასთან ცოტ-ცოტა აღწევდა ხმები, რომ ყველანი გამოტყინებულ ვიგინდარად თვლიან.

შეწუნდა ტუტუცი და დანადგლიანებულმა იწყო ფიქრი, იმაზე, თუ როგორ შეეწყვიტა ეს უსიამო ხმები.

უტაბედმა აზრმა ბოლოს გაუნათა ბნელი გონება... ჰოდა, დაუყოვნებლივ აღასრულა კიდევ. შეხვდა ქუჩაში ნაცნობი, რომელიც მოჰყვა ცნობილი ფერმწერის ქებას...

— რას ბრძანებთ?! — შესძახა ტუტუცმა. — ეს ფერმწერი დიდი ხანია არქივს ჩაბარდა... ნუთუ არ იცით? თქვენგან ამას არ მოველოდი... ჩამორჩენილი კაცი ყოფილხართ.

ნაცნობი შეშინდა და მაშინვე დაეთანხმა ტუტუცს.

— რა მშვენიერი წიგნი წავიკითხე დღეს! — უთხრა მეორე ნაცნობმა.

— რას ბრძანებთ?! — შესძახა ტუტუცმა. — როგორ არა გრცხვენიათ? არაფრად არ ვარგა ეგ წიგნი; დიდი ხანია ყველამ ხელი ჩაიქნია მავაზე. თქვენ ჩამორჩენილი კაცი ყოფილხართ.

ჰოდა, ნაცნობს შეეშინდა და დაეთანხმა ტუტუცს.

— რა შესანიშნავი ადამიანია ჩემი მეგობარი NeNe! უამბობდა

ტუტუცს მესამე ნაცნობი. — აი, ჭეშმარიტად კეთილშობილი კაცი!

— რას ბრძანებთ?! — შესძახა ტუტუცმა. აშკარა სალახანაა. მესამე ნაცნობსაც შეეშინდა და დაეთანხმა ტუტუცს, განუდგა მეგობარს და ვისაც და რასაც კი შეაქებდნენ ტუტუცის თანდასწრებით, მას ყველაზე და ყველაფერზე მზად ჰქონდა თავისი მკაცრი განაჩენი.

ხანდახან საყვედურითაც კი დასძენდა ხოლმე: — ეჰ, ნუთუ კიდევ გწამთ ავტორიტეტები?

— ავყია, ღვარძლიანი კაცია! — მსჯელობდნენ ტუტუცზე მისი ნაცნობები. — მაგრამ რა თავი აბია!

— თანაც, როგორი მჭევრმეტყველია! — დასძენდნენ სხვები.

— თქმა არ უნდა, დიდი ნიჭიერი კაცია!

დამთავრდა იმით, რომ ერთი გაზეთის გამოცემულმა ტუტუცს კრიტიკის განყოფილების გამგებლობა შესთავაზა. და იწყო ტუტუცმა ყველას და ყველაფერს გაკრიტიკება, როგორც სჩვეოდა: თავისი მანერით და თავისი შედაბილებით.

ახლა იგი, ოდესღაც ავტორიტეტების წინააღმდეგ მქუხარე, თავად ვახდა ავტორიტეტი, ყმაწვილები კი თავყანისცემით შესციციებდნენ და ცოტა ეშინიათ კიდევ. ან რაღა ჰქნან საბრალო ყმაწვილებმა? ჩვენში რომ ვთქვათ, საერთოდ რა საჭიროა თავყანისცემა... მაგრამ თუ ბიჭი ხარ, გაბედე და ნუ სცემ თავყანს — ჩამორჩენილ კაცად ჩათვლიან. კარგად გრძობენ თავს ტუტუციები ლაჩართა შორის.

თარგმანა ვლადიმერ თორღუაძე.

რუბიკის ახალი თამაში

ცნობილ უნგრელ დიზაინერს, ერნო რუბიკას, გადაწყვეტილი აქვს, საერთაშორისო ბაზარზე გამოუშვას რიგით მეცხრე სათამაშო, რომელსაც „მაჟიკი“ უწოდებენ... გამოგონებლის აზრით, ამ თამაშს კიდევ უფრო მეტი წარმატება მოელოდა, ვიდრე „მაგიურ კუბს“, 150 მილიონ ცალად რომ გაიყიდა. ახალი სათამაშო წარმოადგენს უამრავ მრგვალნახევრეტიან 18 კვადრატულა პლასტმასის ბარათს. თამაშის არსია ხვრელების გადაადგილებით ერთმანეთში ჩამჯდარი სამი სრული წრე გამოიყვანონ. „მიუხედავად იმისა, რომ „კუბიკი“ ბევრად უფრო ინტელექტუალური თამაში იყო, „მაჟიკიც“ ზღვა სიამოვნებას მოგვცის მოთამაშეს ფერადოვნებითა და ფორმათა სიმრავლით“, — ამბობს ინჟინერი რუბიკი.

საჩოთირო მომენტების გამო

სამსგვერდინი წიგნი გვიამბობს საფრანგეთის კინოს სამ ათწლეულზე და მასში აღწერილია ეკრანის ვარსკვლავების — ბრიჟიტ ბარდოს, ქათრინ დენევის და ურსულა ანდრესის ცხოვრებისეული ეპიზოდები. წიგნის ავტორია ცნობილი კინორეჟისორი როჟე ვადიმი, რომელმაც შექმნა ამ ქალთა პროფესიული კინოსახე. წიგნი, თავდაპირველად, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა, სადაც უმაღლესი ბესტსელერად, ხოლო საფრანგეთში მისაღები ინტერესმა ყოველგვარ მსოფლიოს გადააჭარბა. „სამოთხეში მოხვედრა მსურდა, — ამბობს ვადიმი. — მაგრამ ამ ქალებთან ჩემს ურთიერთობებზე ხალხში ჩამოყალიბებული წარმოდგენა, თურმე, ისეთი ყოფილა, თუნდაც ახლავე მიმიღებენ გოგონებში... რაღაც უნდა მოემოქმედა და აი, დავწერე წიგნი სიმართლის სათქმელად“.

როგორც შევტყუეთ, სახელგანთქმულ კინოვარსკვლავთა ინტიმური ცხოვრების ზოგიერთი საჩოთირო ეპიზოდის გახსენების გამო, როჟე ვადიმის წიგნი აიკრძალა საფრანგეთში.

სურათები: ბრიჟიტ ბარდო, ურსულა ანდრესი.



რამ აქცინათ გავლენაზე?

ამერიკელმა ფსიქიატრმა, პროფესორმა დოროთი ლივინსმა ამას წინათ ფილადელფიაში გამართულ სიმპოზიუმზე ცნობად გამოიტანა ის გამოკვლევა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საპრობილეებში მკვლელობისთვის აუცილებელი ყველა სიკვდილისთვის, თურმე, ადრეულ ასაკში მძიმე ტრავმები მიუღიათ თავის ქალის არეში. დოროთი ლივინსის დასკვნით, სწორედ ეს ყოფილა მიზეზი იმ დაულოკებელი აგრესიულობისა, რამაც მკვლელებად აქცია ეს ადამიანები.



ცოტაოდანი სტრასი
ტონუსის ასაწმენად

ზოგი ქირი მარგებელიაო, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, მაგრამ ამ აზრს დღეს უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა მიენიჭა. ზუსტად ერგება იგი ისეთ მოვლენასაც, როგორცაა სტრესი. ზოგიერთი მეცნიერი ამ მოვლენას რაიმე მიზნის მიღწევისას გამოშლავებული შეცადინეობის ბიოლოგიური პასუხად მიიჩნევს და არა ორგანიზმის ჰარბ გადატვირთვად. ზომიერად მიღებული სტრესი სასარგებლოც არისო ამტკიცებენ. ესანელ პროფესორ როფ კარვალის დრმა რწმენით, „სტრესული მდგომარეობა სიბერისგან იცავს ადამიანს და ესმარება სიცოცხლის მდინარების გახანგრძლივებასა და გაღამაზებაში“. ეს ყველაფერი პროფესორმა თქვა, მაგრამ ჩვენი მხრივ იმასაც დავძენთ, რომ ყოველივეს მისაღწევად ადამიანს უნდა ამკობდეს საქმარისი თავდასაცავი ძალა, ემოციური და სოციალური სტაბილურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრესის შედეგი, შესაძლოა, ერთბაშად კატასტროფულიც აღმოჩნდეს.

„სიმარტოვით ჩენილი სატკივარი საკმაოდ დამახასიათებელია თანამედროვე საზოგადოებისთვის, — ამბობს კარვალისო, — უმრავლეს შემთხვევაში იწვევს სასოწარკვეთას, ცხოვრებისეული პერსპექტივების დაკარგვას, ამ მძაფრ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს კი შესწევთ ძალა სტრესის წინაშე ფარსხალი დააურევინონ კაცს და მოახდინონ მისი, როგორც პიროვნების, დაშლა“.



ბუმერანგი

ევროპისა და ამერიკის პარკებში, მდელოებსა და პლაჟებზე კვლავ მოდდაში შემოვიდა სპორტის მივიწყებული სახეობა — ბუმერანგის ტყორცნა. უკვე ტარდება ასპარეზობანი, თავად ოთხ, ხუთ ან ექვს-ფრთიან ბუმერანგს კი აშაღებენ ხეთა კეთილშობილი ჯიშებისგან და პლასტმასისგანაც. ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე გაჩნდნენ პროფესიონალებიც. ერიკ დარნელმა, მაგალითად, სახელი მოიხვეჭა საოცარი დარტყმით, რომელსაც ეწოდება „ა ლია ვილბელმ ტელი“. დაბრუნებული ბუმერანგი დარნელის თავზე დადებულ ვაშლს აგდებს.

მეცნიერები ფართოდ შეისწავლიან ამ უცნაურად მფრინავი საგნების ისტორიას და ფრენის ტრაექტორიას. დაადგინეს, რომ ავსტრალიელები ჯერ კიდევ ათი ათასი წლის წინათ იარაღად იყენებდნენ მას. ბუმერანგით სარგებლობდნენ ჩრდილო ამერიკის ინდიელებიც; დანიასა და ჰოლანდიაში იპოვნეს ბუმერანგის მტყორცნელი ადამიანების გამოსახულებანი, რომელთა ასაკიც რამდენიმე ათას წელს ითვლის, ხოლო სპილოს ძვლისგან დამზადებული ბუმერანგი ტუტანჰამონის აკლდამაშიც კი აღმოჩინეს.

უცხოეთის კრემის გასალევის მიხედვით მოამზადა ღაპრით კანდეღა.

ჩვენი სატკივარი

გერონტი ქიქოძე

სწავაბნობს თუ არა ქართული შენობა? ვგულისხმობ ისეთ შენობას, რომელიც ქართულ ეროვნულ ხასიათსა ჰქაბავს და არა მარტო ისეთს, რომელშიც ქართველები ცხოვრობენ.

საკმაოა კაცმა თბილისის ან რომელიმე პროვინციული ქალაქის ქუჩაში გაიაროს, რომ ამ კითხვას უარყოფით უპასუხოს. თანამედროვე ქართველები ან მრავალსართულიან ყაზარმებში სცხოვრობენ ან მოუწყობელ ქონებებში, რომელთაც აღარ შერჩენიათ ქართული ელფერი. ხუროთმოძღვრება ხომ ეპოქის გამოხატულებაა. ჩვენ დღეს რუსულ-ქართულ უარგონს ვლაპარაკობთ და ჩონხა-ახალუხზე კოკარდიან ქუდს ვიხურავთ. რა გასაკვირალია, რომ ჩვენი შენობა ისევე უხასიათო იყოს, როგორიცაა ჩვენი ენა, ტანსაცმელი და მიხვრა-მოხვრა?


მგოსანმა სთქვა, ყოველ ქალაქს თავისი სული აქვსო. ამ სულს უეჭველად განსაკუთრებით შენობების სტილი ჰქმნის. ხუროთმოძღვრება ყველაზე უფრო მხატვრული ხელოვნებაა და ყველაზე აშკარად მოწმობს როგორც ბინადართა, ისე ოსტატთა ბუნებას. აქ ნათლად სჩანს ეროვნული ხასიათის მთლიანობა ან გაორება, ფანტაზიის სიმდიდრე ან სიღატაკე, გრძობის სიფხიზლე ან მოჭარბება.

შეიძლება თავისი განსაკუთრებული სული თბილისსაც ჰქონდეს, მაგრამ ის აღარ არის ქართული. მრავალ ტომების შემოსევამ ქვეების მასაზე დააჩნია თავისი ბეჭედი. ჩვენი დედაქალაქი ნამდვილ ბაბილონის გოდოლად იქცა, სადაც ხუროთმოძღვრები და კალატორები სხვა და სხვა ენას ლაპარაკობენ. მართალია, აქა-იქ კიდევ ქართული ტაძარი სდგას და აქა-იქ წახნაგოვანი გუმბათი ამაყად აბობს ჰორიზონტს, მაგრამ ორიოდ გუშმათიან ტაძარს დღეს აღარ ძალუქს დიდ

სამრეწველო და სააღმშენებლო ცენტრისთვის განსაზღვრულ არქიტექტურულ ელფერის მიცემა. დღეს ადამიანებს მეტი კომფორტი და ყურადღება ესაჭიროებათ, ვიდრე ღმერთებს, და სავალალო ის არის, რომ ჩვენ აღარ გავგაჩნია ლაზათიანი ბინები უბრალო მომაკვდავებისთვის.

წინათ ასე როდი ყოფილა. ჩვენ გვქონია არა მარტო დამთავრებული ეკლესიები, არამედ დამთავრებული საერთო ხასიათის შენობებიც. ქართველი მემკვიდრეები და უცხოელი მოგზაურები იმასაც მოწმობენ, რომ ჩვენს ძველებს სცოდნიათ კიდევ ვანსხვავება საზაფხულო და საზამთრო ბინებს შორის. როგორც შარდენის მიერ დატოვებულ ნახატიდან სჩანს, ჩვენს დედაქალაქს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში ბევრად უფრო გამოკვეთილი და მთლიანი ხასიათი ჰქონია, ვიდრე დღეს აქვს...

თუ დღეს ამ ქართულ საერთო არქიტექტურას ვეღარ ვხედავთ, მაძიებელ ვინებას კიდევ შეუძლია მისი სილუეტების წარმოდგენა. მთლიანი შენობა აღარ დარჩენილა, მაგრამ ალაგ-ალაგ საძირკველის ნიშნები მოიპოვება, ალაგ-ალაგ სვეტის ფუძე ან თაღის რკალი. შემომქმედ სულს და ცხოველ ტემპერამენტს კიდევ შეუძლია ამ გაფანტულ ელემენტების აღმოჩენა და შედუღება. ამას გარდა ცნობილია, რომ საშუალო საუკუნეებში საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრება ისე გათიშული არ იყო, როგორც დღეს არის: რომანიული და გოტიური სტილის ციხე და სასახლე რომანიული და გოტიური სტილის მონასტერსა და კათედრალს წააგავდა. განსხვავება იმაში იყო, რომ პირველი უფრო პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებასთან იყო შეფარდებული, უკანასკნელი კი უფრო იდეალურ მოსაზრებებს ექვემდებარებოდა. ალბათ ასე იქნებოდა საქართველოშიც. ამას,



სხვათა შორის, ეგრეთწოდებულ საოსტიგენე მოწმობს, რომელიც კრებისა და საერთო ტრაპეზისთვის იყო დანიშნული და უფრო საერო ხასიათის შენობას წარმოადგენდა, ვიდრე საეკლესიოსას. ერთი ასეთი საოსტიგენე საქაოლ ხელუხლებლად არის შენახული თორის წყლის ხეობაში, სოფელ ტიმოთეს უბანში (ბორჯომის მხარეს).

შეიძლება ეს ერთის მხრით ბედნიერებაც იყოს, რომ ბევრი რამ დაიღუპა ძველ ქართულ შემოქმედებიდან. ყველაზე მძიმე ტვირთი მიცვალებულთა ტვირთი და ძნელია წინსვლა, როცა ფეხებში სხაფლავს ლოდები გვლოდება. მაგრამ თუნდ ეს ტყუილი ნუგეში იყოს, მაინც უეჭველია რომ დღევანდელმა თაობამ უფრო მომავლისთვის უნდა, იზრუნოს, ვიდრე წარსულისთვის. რაც უნდა იყოს, დღეს აღარ შეგვიძლია მარტო ძველ საარქიტექტურო ნაშთების აღდგენით და ასლის გადაღებით დაკმაყოფილდეთ. ასლი ყოველთვის უფრო ცივი და უძლურია, ვიდრე ორიგინალი. დატოვებული ნაშთები თავისუფალი და დამოუკიდებელი შემოქმედებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

ფრესკების გამოფენაში, რომელიც 1917 წელს იანვარში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო ხელოვანთა საზოგადოებასთან ერთად, მნიშვნელოვანი მასალა მოიპოვებოდა ქართულ ხუროთმოძღვრებისთვისაც. ყველაზე საყურადღებო ბანის ტაძრის რეკონსტრუქციას, ინჟინერ კალგინის მიერ წარმოდგენილი. ეს ის დიდებული მრგვალი ტაძარია, რომლის შესახებ გერმანელმა ბუნებისმეტყველმა კონსტანტინოპოლის შედგენ აღმოსავლეთში არაფერი მინახავს მისებრ გამოჩინებული. ამ შენობის ზომა და ხასიათი ისეთია, რომ ის უფრო ბრწყინვალე პროცესივსა და დღესასწაულებს შე-

ეფერება, ვიდრე წყნარს სიმონასტრო მოღვაწეობას. და, ჩართლაც, ცნობილია, რომ თუ დიდის ამიერ ქრისტიანული რესმა თველმა შეფემ, ბაგრატი I დაიწერა ჯვარი. ასეთი შენობა დაუშრეტელ წყაროს შეიცავს საერო ხუროთმოძღვრების აღსადგენად. თანამედროვე ხუროთმოძღვრის შეუძლია მისი ძირითადი გეგმა, შარიშინი, ბალკონი, სვეტები და თაღები ქართულ თეატრის ან სხვა რაიმე მონუმენტალურ შენობისთვის გამოიყენოს. იგივე შეიძლება ითქვას მშენიერის ხობის ან წალენჯიხის ეკლესიის შესახებ.

ქართული საარქიტექტურო სტილის ელემენტები ძველ წიგნებშიც მოიპოვება. მხატვრული კამარები, რომელიც ზოგიერთ ძველ სახარებასა და ფსლამუნს ამკობენ, საოცრად წააგვანან შენობის ფასადსა და შენობის ბჭეს. ამ კამარების მიხედვით ხუროთმოძღვრის ფანტაზიას მთელი სახლის შექმნა შეუძლია.

დღეს დასავლეთ ევროპაში ყველგან დიდი მოძრაობა დაიწყო თანამედროვე არქიტექტურის შესაქმნელად. ახალი შენობა ლაზათიანიც უნდა იყოს, კომფორტის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდეს და ადგილობრივ პირობებსაც უწყვედეს ანგარიშს. ამ მოძრაობას ჩვენამდე ჯერ კიდევ არ მოუღწევია. არც ჩვენი საზოგადო შენობები და არც კერძო სახლები არაფერს ეუბნებიან ადამიანის თვალს და ხშირად პრაქტიკულადაც გამოუსადეგნი არიან. ჩვენ გვაქვს გიმნაზიები, რომელიც, ცოტა არ იყოს, ყაზარმებს წააგვანან და კლუბები, სადაც ადამიანები უშაეროდ იღრჩობიან...

თბილისის ზედაპირი საუცხოოა თავისი ნაპრალებითა, ბორცვებითა და მალღობებით. ქვეყანაზე ბევრი არაა ქალაქი, რომელსაც ისეთი თავისებური შეხედულება ჰქონდეს, როგორიც ჩვენს დედაქალაქს ნაიყალას ციხიდან, მამადავითიდან ან მუხრანის ხილიდან აქვს. მაგრამ მცხოვრებლებს თითქო ყველაფერი მოუშოქმედნიათ ამ ბუნების დასამახინჯებლად. თბილისს არ შეეფერება არც ერთფეროვანი, სახაზინო სტილის ყაზარმა, არც მძიმე ევროპიული სასახლე, არც ზიზილობილობებიანი აღმოსავლეთური დაბაზი. მისი არქიტექტურა უბრალო და ენერგიული უნდა იყოს, როგორც ძველი ქართული შენობა.

1917.

რას იტყვიან ამაჰამიფელი მართველი ხუროთმოძღვრე ბიზნიდი ათეუთი ფლის წინ გამოთქმულ ამ მოსაზრებათა თაობაზე?



უ მინდორსა და ტყეში გვილიათ, არაერთხელ წაღებოდით ჭიანჭველების ბუდეს. შორიდან პატარა კორომად გეჩვენებთ ეს ამალღებული ბუდე. როცა ახლო გასინჯავთ, ნახავთ, რომ იგი არის შენობა პაწაწინა ნაფორებისა, ფოთლებისა, ჩაღისა, კენჭებისა, ფისის ნაჭრებისა და კიდევ სხვა ბევრის რამისა. ზემოთ ბუდეზე ბუდრუგუნაობენ იმისი ამშენებლები. ყველა ჭიანჭველას აქვს მოქნილი, მწვეარივით წვრილი ტანი, რომელზედაც ასხია წვნიკი და ბალნიანი ფენები. ძაფივით წვრილი ყელი აერთებს თავს მკერდთან, რომელზედაც დედალ-მამალ ჭიანჭველებს ასხია ძარღვიანი ფრთები. დედალი უფრო მსხვილია და დიდი მამალზედ. ფრთები ყველა ჭიანჭველას როდი აქვს. აგერ, ბუდეზედ დარბიან მრავალი უფრო მომცრო ჭიანჭველები. ესენი მუშა ჭიანჭველები არიან...

თქვენ ძალიან შემცდარი იქნებით, თუ იფიქრებთ, რომ ჭიანჭველების ბუდე უბრალო გროვაა ნავეისა. ეს პაწაწინა არსებანი შენობაში ისეთ ხელოვნობას იჩენენ, ისე მოხერხებულად და ლამაზად აკეთებენ თავიანთ ბინას, რომ კარგად დახელოვნებულ კალტოზსაც გააკვირვებს...

როგორც წინათ ვთქვით, ჭიანჭველების საზოგადოებას შეადგენენ სამგვარი ჭიანჭველები: დედლები, მამლები და მუშა ჭიანჭველები. ამ მუშა ჭიანჭველებს აწევთ კისერზე სადგომის შენებაც, საზრდოს მომზადებაც, შვილების კვება და აღზრდაც, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ჯაფა; ესენივე იცავენ ბუდეს სხვადასხვა მტრებისაგან.

პაწაწინა თეთრ კვერცხებს დედლები სდებენ, სადაც კი მოხვდებოდა და თავს ანებებენ. მუშა ჭიანჭველები მაშინვე ჰკრეფენ ამ კვერცხებსა, მიაქვთ სადგომში, ცალკე ოთახებში ერთად აგროვებენ და ერთგულად უვლიან, მანამ მატლები არ გამოიჩეკებიან. ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ ამ კვერცხებს ყოველთვის ერთ ადგილზედ არ არჩევენ. რაწაშს ცივი დარი დადგება, მუშა ჭიანჭველები მაშინვე დაეხვევიან კვერცხებსა და გადააქვთ სხვა უფრო თბილ ადგილას. და თუ მთელ სადგომში ცივა, მაშინ კვერცხებს ზედ აჯდებიან კრუხსავით და ათბობენ. ბოლოს კვერცხებიდან გამოიჩეკებიან ხოლმე პაწაწინა მატლები. მა-

თი დაბადებით შემდეგ მუშა ჭიანჭველებს შრომა ემატებათ. რაწაშს მზის ნათელი მიადგება ბუდეს, ზემო ოთახებში მყოფი ჭიანჭველები ჩარბიან ქვევით და თავიანთ ამხანაგებს ადვიტებენ უღვაშების ცაცუნით. მაშინ მუშა ჭიანჭველები წამოხტებიან ფეხზე, ავლებენ პირს მატლებს და მიარბენინებენ ზემო ოთახებში, რომლებიც მზის შუქით არის განათებული. მაგრამ, როცა მზე სიცხის ლულს დააყენებს, მაშინ მალე ისევ ქვევით, გრილ ოთახებში, ჩაასხამენ ხოლმე. მატლები მეტად გაუმადლარნი არიან და თავიანთ გამზრდევლებს წამდაუწყებ პირს უღებენ. გამზრდევები იღებენ იმათ პირს თავიანთ პირში და მატლები იმათი პირიდან სწოვენ წებოვან წვეს ისე, როგორც ხბო სწოვს ძუძუდან რძესა. ამას გარდა, მუშა ჭიანჭველები ბევრსა ზრუნავენ იმათ სიფაქიზეზედ. გააძობენ თუ არა, მაშინვე მიჰყვებიან და ულოკავენ ენით ტანსა იქამდინ, მინამ სულ არ გაასუფთაებენ. როცა მატლები დასრულდებიან, თავის გარშემო ახვევენ ძაფის ქსელს, აკეთებენ პარკსა და ბოლოს უძრავად რჩებიან შიგ. ამ დროს ისინი მკვდრებსა ჰგვანან და საჭმელი სრულიად არ ეჭირვებათ. ამის გამო მუშა ჭიანჭველებს შრომა უმსუბუქდებათ. აგერ, რამდენისამე დღის შემდეგ პარკში მატლი გაინძრა. რამდენიმე მუშა ჭიანჭველა მაშინვე მასთან გაჩნდა, ავიდა ზედ პარკზედ, თავისი ყბებით გახია ერთ ადგილას და გამოიყვანა ახლად დაბადებული ჭიანჭველა. პარკის გარდა ბალდი ვახვეულია რაღაც სიფარიფანა კანში, რომელიც ჰფარავს იმის ფრთებსა. ჭიანჭველებმა მოაცალეს ეს კანი, გაუშალეს ფრთები და გააძღეს.

ახლაგზარდა ჭიანჭველა კიდევ კარგა ხანი იქნება იმათ მზრუნველობის ქვეშა. ასწავლიან ბინის გზასაც სხვადასხვა ადგილიდან, მერე საჭმლის ძებნას, სახლის კეთებას, როცა გაუფუჭებს ვინმე, და სხვასა. რადგანაც მუშა ჭიანჭველები ბევრს უვლიან და დიდ ამავსა სდებენ მოზარდ ჭიანჭველებსა, ამიტომ ძალიან უყვართ ერთმანეთი. საზოგადოდ, ჭიანჭველის მთელ ოჯახობაში დიდი თანხმობა არსებობს. თუ ერთს უბედურება რამე მიადგა, ყველა ცდილობს, რომ შემწეობა მალე მიაშველოს.

ჭიანჭველები საჭმელად ხმარობენ: ახალ ან დამპალ ხორცს, ხილსა, ყვავილსა და მეტადრე ყოველს ტკბილეულს, რის გა-

მოც თავლი და შაქარი არსად გამოეპარებათ.


რომელი ჭიანჭველებიც ადამიანის ბინასთან ახლო ცხოვრობენ, ყოველთვის შოულობენ სამყოფს პირის გასატკბილებელსა, მაგრამ რომლებიც ტყესა და მინდორში ბინადრობენ, ისინი მოშორებულნი არიან თავლსაც, მურაბასაც და შაქარსაც. მაშ, პირის გასატკბილებელს საჭმელს ეს ჭიანჭველები სრულიად მოკლებულნი არიან? არა, ჭიანჭველას სიცოცხლე სიცოცხლედ არ მიაჩნია, თუ პირი ხანდახან მაინც არ გაიტკბარუნა. მინდვრისა და ტყის ჭიანჭველებს ტკბილი საჭმელის საშოვნელად ერთი ღონისძიება აქვთ მოგონილი. ქვეყანაზედ არსებობენ მცენარეების ერთი წიწვნა ტილები. ესენი ფერით ჰგვანან ყველა იმ მცენარეს, რომელზედაც ცხოვრობენ, და ამიტომ იმათი დანახვა ძნელია. ამ ტილებს ბოლოზედ აქვთ ორი მოკლე მილი, საიდგანაც გამოსდით ტკბილი, წებოიანი წვენი; ეს წვენი სიარულს კიდევ უშლის იმათ, იმიტომ რომ ერთსა და იმავე ადგილზედ აწებებს. აი ამ ტილებს სძებნიან ჭიანჭველები და უკანრან სწოვენ ტკბილს წვენსა. მაგრამ იმათს აქეთ-იქით ძებნაში ჭიანჭველებს ბევრი დრო დაეკარგებოდათ. ჭიანჭველები ძალიან ახრიანი არსებანი არიან: მათ უნდათ, რომ ტკბილი წვენიც გამოუღვევლი ჰქონდეთ და დროც ცოტა დაეკარგონ იმის შოვნაში. ამიტომ შემდეგი ხერხი აქვთ ნახმარი: წავლენ, მოჰკრეფენ შორეულს მცენარეებზე ტილებს, წაასხამენ და მახლობელ მცენარეებზე დააბინავებენ ხოლმე...

ცხარე ომსაც ხშირად გამართავენ ხოლმე სხვა ჭიანჭველებთანა. ყველას უნახავს სხვადასხვა ჯიშის ჭიანჭველა: პატარა, დიდი, ყვითელი, მოწითალო და შავი. თვითოეული ჯიშის ჭიანჭველისა ცხოვრობს განცალკევებულ ადგილს საკუთარს ბუდეში. ყოველი ბუდე შეადგენს ცალკე ქალაქსა და ეს ქალაქი ხშირად ჰმართავს ომს სხვა ჭიანჭველის ქალაქებთან. „ერთხელ, შუადღისას, ამბობს ერთი მეცნიერი, ზაფხულის პაპანაქება დღეში, გზაზე მიდიოდა მთელი გროვა მოწითალო ჭიანჭველებისა; ჯარისკაცებსავეთ რიგზე დამწკრივებულნი იყვნენ და, როცა გზას გადაუხვევდნენ და ბალახებში ერთმანეთს ასცდებოდნენ, მაშინ ერთმანეთის კვლის საპოვნელად წამდაუწყებ მიწას ეხებოდნენ თავისი უღვაშებით, სწორედ ისე, როგორც ძაღლი თავისი ცხვირით შეეხება ხოლმე მიწას და ამ სახით მისდევს რისამე კვალსა. აი, ბოლოს

მიუახლოვდნენ მოგზაური შავის ჭიანჭველების ბუდესა. მაგრამ შესავალი თავდანიებული როდი დაუხვდათ. ქვევითან მცველებად იდგნენ მათი ჭიანჭველები, რომლებიც საკუთარ ველი სიმამაცით გაეჩანენ და ეტაკენ მოწითალო ჭიანჭველებს. შეიქმნა საშინელი ბრძოლა. შავი ჭიანჭველები თუმცა უფრო დიდები იყვნენ და გარეგანი შეხედულობით უფრო ღონივრები სჩანდნენ, მაგრამ მაინც იძლიერენ: მოწითალო ჭიანჭველებმა აქეთ-იქით ვაფანტეს ისინი და შეუტკვივდნენ ბინაში. პირველადვე გაეჩანენ იმ ოთახებისკენ, სადაც წვრილფეხობა ეგულებოდათ; დაავლეს პირი ჭიანჭველების მატლებსა, გამოიტაცეს გარეთ და გასწიეს შინისკენ უწინდელი გზით“. როცა ეს მოტაცებული მატლები ჭიანჭველებად გარდაიქცევიან, მაშინ ისინი ვახლებიან მონები თავისი მომტაცებლებისა. იმათ ყოველგვარ სამსახურს გაუწყვენ. მონობა და ბატონყმობა ჭიანჭველების ცხოვრებაში მეტად შესანიშნავი მოვლენაა.



კროსვორდი



თარაზულად: 3. ავსტრიელი მწერალი; 4. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში; 6. გადასახადი; 7. სახელმწიფო აღმოსავლეთში; 8. სივრცის საზომი ერთეული მეტრული სისტემის შემოღებამდე; 12. ძვირფასი ქვა; 18. ისტორიული ოლქი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 15. იალქნის დასამაგრებელი ძელი; 17. გვირგვინის ფოთოლი; 19. ექსკურსიამძღოლი; 21. ფრანგი ბალერინა; 22. აღმოსავლური საკრავი; 23. სიტყვათა წყობა; 24. ტროპიკული მცენარე; 25. ბალჩიული მცენარე; 28. აღმოსავლური სათამაშო; 30. გარიჟრაჟი; 32. გაზი; 34. ჩანაფიქრი; 35. ძველებური დასარტყმელი მუსიკალური საკრავი; 38. საკნების, მოვლენების გარკვეული ჯგუფის ნიმუში, ფორმა; 41. საქართველოს მდინარე; 42. ბოქოვანი ქსოვილი სხეულში; 43. საღებავი; 44. ნომრით აღნიშნული ამა თუ იმ კომპოზიციის ცალკეული მუსიკალური ნაწარმოები; 45. ხომალდის ტვირთის წონის ერთეული.


შპეულად: 1. ქართველი დირიჟორი; 2. ქართული კინოფილმი; 3. ძვირფასი ქვა; 5. ნავთობის წყლებიდან მიღებული რუხი ფერის კრისტალური ნივთიერება; 6. ერთწლიანი მცენარე; 9. სამუსიკო საკრავი; 10. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული; 11. ძველი ხალხური თქმულება; 12. ადგილის საერთო ხედი; 14. გუნდი, კრებული, ჯგუფი; 16. ქართველი მწერალი; 17. რუსი არქიტექტორი; 18. ფრანგი კომპოზიტორი; 19. ცხოველთა ან ფრინველთა დასამწყვდევი სადგომი; 20. რთული ფოთლების მქონე საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე; 25. საერთაშორისო პიონერული ბანაკი; 27. იემენის დედაქალაქი; 29. სახელმწიფო წყობილება, მმართველობის წესი; 31. პარკოსანთა ოჯახის ერთწლოვანი კულტურული მცენარე; 33. დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი, რომელშიც ერთი ან რამდენიმე ელექტრონი ნორმაზე მეტია ან ნაკლები; 36. ჩრდილო ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყელის ვრცელი ველები; 37. პატარა მოთხრობა; 39. რძის ნაწარმი; 40. ფეხბურთის სათამაშო სპეციალური ფეხსაცმელი.

შეადგინა ცინლა აბაშუკაშვილი.

„დროშა“ № 4-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 7. პასტელი; 8. ბეთანია; 11. კალანდაძე; 12. დერიუგინი; 13. გნომი; 14. სესია; 16. ფერია; 19. ანანიაშვილი; 20. მაღალაშვილი; 24. „დაისი“; 25. სიონი; 28. ისარი; 31. ვირსალაძე; 32. მოლილიანი; 33. ესკადრა; 34. უირარდო.

შპეულად: 1. მეტონოზია; 2. ამაზუკელი; 3. ზაბლონა; 4. ალთაი; 5. ზებრა; 6. სიცილია; 9. ვერე; 10. ადლი; 15. სტაკატო; 17. დამლა; 18. „ციცია“; 20. მუსტაზადი; 21. იოსელიანი; 22. მადრასი; 23. არმანდი; 26. იდეა; 27. ნამი; 29. კადრი; 30. „ოლიოა“.



თბილისის უძველესი უბნების რესტავრაციამ ახალი სასიამოვნო ტრადიცია დაამყარა: აღდგენილი აბანოუბნის ახალგაზრდა თბილისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის სარბიელად იქცა.



გარეკანის გირველ გვირღვამ: პირველი მაისის დღესასწაულის შემდეგ მხატვარი რობერტ სტურუა. მეორე გვირღვამ: ლია ცის ქვეშ. ფოტო ვიქტორ ჭიერანელისა.

გადაეცა წარმოებას 16.08.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.04.87. უე 04488. ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფოტოკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-სავაჭრომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 726. ფასი 35 კაპ.

810096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ კვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მღვიმის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამღვიმისი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



დასრულებულია

მონუმენტური ქუჩა



ფოტო იური რილალოვისა.



